გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 29
(11 486)

13 – 19 აპრილი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჭაბუკი მორაგბეებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, ხვალ ისინი, ჩილეში, რუსებთან ფინალს ითამაშებენ...

3



13 აპრილი — პირველი ქართული სპორტული გაზეთის — „ლელოს“ დაბადების დღეა!



კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**VIII–X ადგილები.** უმაღლეს ლიგაში დასარჩენი მატჩები.

**ქუთაისი — სსუ 93:90**
**დინამო (თბ.) — ბპკ 98:58.**

საუკეთესო ექვსეულის გამოტოვებული მატჩი:

**აზოტი — ბასკო 87:78**

13 აპრილს ითამაშებენ (VII-X):

**დინამო (თბ.) — ქუთაისი — 12.00**
**ბპკ — სსუ — 13.45.**

საუკეთესო ექვსეულის გამოტოვებული მატჩი:

**მაკაბი — ბასკო 15.30**

გუშინდელი მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს, ბუნებრივია, შარშანდელ ფინალისტთა დუელი იწვევდა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ტრავმირებული ლევან ქარაბაკის არყოფნაში, ბათუმელები სულაც არ ჰგავდნენ ქვეყნის ჩემპიონებს. მათგან ჩვეული ოსტატობით მხოლოდ ამერიკელი გამთამაშებელი ჯეფ როჯერსი გამოირჩეოდა, დანარჩენებს კი თამაში აშკარად არ გამოუვიდათ, რაც, უპირველესად, მეტოქეთა დამსახურებაა. ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბის პირველ დამარცხებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შენგელიამ, ჯაფარიძემ, ბაბიაშვილმა, კოკოლიშვილმა (მათ პირწმინდად მოიგეს ფარზე ბრძოლა) და ქღენტი-ტურაშვილის უკანახაზელთა დუეტმა.

დავძენთ, რომ დანაკლისი რუსთაველებსაც ჰქონდათ — დაშავებული იყო ბერუაშვილი, მაგრამ მის პარტნიორთა სასახელოდ ვიტყვით: ამჯერად ისინი ერთ მუშტად შეკრულ ანსამბლად წარმოგვიდგნენ. სხვათა შორის, მესამე პერიოდის შემდეგ „აზოტი“ მატჩს 70:49 (!) იგებდა.



ჩვენში ფართოდ გახმაურებული სასიმაღლო ასვლები ჰიმალაიში შესრულებული იყო გურისგული კომერციული ფირმების მიერ წინასწარ გამზადებული ტრასებით, რაც, ექსპერტების აზრით, დღეს მაღალლირებულ სპორტულ მიღწევად არ შეიძლება იყოს მიჩნეული. მით უმეტეს, რომ ხსენებული ასვლები ჟანგბადის ნიღბების გამოყენებით შესრულდა

3

2

# აჭარელი მშვილდოსნები სომხეთის პირველობაზე




2

გუშინ „უნივერსიადა-2001-ს“ გზა დაულოცეს!

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ტერორისტებმა დემბსკი მოკლეს

ვარშავაში სიცოცხლეს გამოასალმეს პოლონეთის სპორტის ყოფილი მინისტრი იაცეკ დემბსკი: მკვლელმა ღამე მას ერთერთ რესტორანთან ესროლა. დანაშაულის მოტივები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ერთი ვერსია მაინც იკვეთება: 2000 წლის თებერვალში ვარშავის ერთერთ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ დემბსკისთან, რომელშიც მან განაცხადა, რომ მაღალჩინოსნები სთხოვდნენ ქვეყნის პრეზიდენტს ალექსანდრ კვასნევსკის (ადრე იგი სპორტის მინისტრი იყო) წინააღმდეგ მაკომპრომენტირებელ მასალებს. ამ ინტერვიუმ ძალიან განარისხა მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე, რომელმაც თანამდებობიდან დაითხოვა დემბსკი.

## მადრიდი შოკირებულია — რაული კალაძის „მილანში“ გადადის?

**გუშინ, საფეხბურთო ევროპას ელდა ეცა — მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა რაულმა პირინეებიდან აპენინებზე გადაინაცვლა და მილანში ჩავიდა, სადაც ისადილა კახი კალაძის კლუბის გენერალურ მენეჯერ ადრიანო გალიანისთან. ჟურნალისტთა წრეებში რაულის სატრანსფერო თანხის ოდენობაზეც ითქვა — 50 მილიონი დოლარი!**




4

**ესპანელმა**ველომრბოლმა ანხელ კასტრესნამ, გუშინ, მოიგო "Tour of the Basque Country"-ს („ტური ბასკეთის ქვეყანაში“) მეოთხე ეტაპი.



## „ბაიერის“ ხელმძღვანელობა „რომას“ ფიფაში უჩივის



უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ამ ორ საფეხბურთო კლუბს შორის ფინანსური დავა გრძელდება. საქმე ეხება ბრაზილიელ ემერსონის ტრანსფერს. ამდენი ხანია, რომაელებიდან ამაოდ ელოდებიან შეთანხმებულ თანხას — 35 მილიონ მარკას ლევერკუზენელები. „ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო, იძულებული ვართ მივმართოთ ფიფას, მაგრამ თუ მისი ჩარევაც არ გაჭრის, მივმართავთ სასამართლოს საკუთარი ინტერესების დასაცავად“ — აცხადებს „ბაიერის“ პრეზიდენტი ვოლფგანგ ხოლცხოიზერი.




**მონდიალი — 2002. შესარჩევი ტურნირი. აზია. VI ჯგუფი: ყაზახეთი — ნეპალი 6–0**



4

# რატომ ეძახიან „რეალ მადრიდს“ „რაულ მადრიდს“?

**აბასი მონტე-კარლოს გამოტოვებს.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამერიკელი ანდრე აგასი მონტე-კარლოს ტურნირში არ ითა[illegible]შებს. მიზეზი ტრივიალურია — ტრ[illegible]ვმა.

## მარტის რჩეული ვინუსია

ამერიკელი ჩოგანი ქალი ვინუს უილიამსი მიჩნეულია მარტის საუკეთესო ჩოგბურთელად. უიმბლდონის ჩემპიონმა, ამერიკის ღია პირველობაში გამარჯვებულმა, ორი კვირის წინათ, კიდევ ერთი ტიტული (კარიერაში მეთექვსმეტე) შეიმატა — მან მოიგო პრესტიჟული ტურნირი — „Ericsson Open“.

## ეროვნული ჩემპიონატები:

**გერმანია:**
შტუტგარტი — კოტბუსი 1-0
არმინია — დუისბურგი 1-1
ჩემნიცი — მანჰეინი 0-0

**დანია:**
ოლბორგი — კოპენჰაგენი 1-1; ჰელფიორგე — თიბორგი 1-1; ლიუნგბიუ — ჰადერსლევი 1-1; მიდტიულანდი — სილკებორგი 0-0; [illegible]დენსე — ბრონდბიუ 1-1.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 25 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

## ამერიკელები ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობას აუფასურებენ!

რაც უფრო ახლოვდება ზამთრის ოლიმპიადა, მით უფრო მწვავე ხასიათს იღებს კრიტიკული შენიშვნები, რაც ოლიმპიადის მასპინძლობის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ახლა ყველა შეშფოთებით ლაპარაკობს, რომ ასეთ სიმაღლეზე (1700 მ. ზღვის დონიდან) ზამთრის თამაშები ჯერ არ ჩატარებულა და ყველა ააფორიაქა სიმაღლის პრობლემამ. ბევრი უკმაყოფილოა ოლიმპიური სოფლის ინფრასტრუქტურით. სპორტსმენები განთავსდებიან სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში – ყოველ კორპუსში 200-200 თითო ადგილიან ნომრებში, სადაც საწოლთან ერთად ძლივს თავსდება მაგიდა და სკამი. ყველაზე დიდ გაოცებას იწვევს ის, რომ მასპინძლებმა არ გაითვალისწინეს წინა ოლიმპიადის (ნაგანო) ნაკლოვანებები და პრობლემები. „შენი პრობლემები შენ გეხება და ისე გადაწყვიტე, როგორც გსურს" – ეს დევიზი მიუსადაგეს თვითმხილველებმა ამერიკელების გულგრილობას ზამთრის ოლიმპიადისადმი. ოლიმპიადის მონაწილეებიც ბედს უნდა შეეგუონ. სხვა რა გზაა!

## ოლიმპიურ თემატიკაზე 2001 წლის სპორტულ-ლიტერატურული კონკურსის

# დებულება

საქართველო
GEORGIA

1. სეოკ-ის სპორტულ-ლიტერატურული კონკურსი (შემდგომში კონკურსი) არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მისი კულტურისა და ოლიმპიური განათლების კომისიის მიერ ორგანიზებული ანალოგიური კონკურსის შემადგენელი ნაწილი და ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო კონკურსის პირობებს.

2. საქართველოში კონკურსი ტარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური აკადემიის მიერ 2001 წლის 4 მაისიდან 15 ოქტომბრამდე, ორ ასაკობრივ ჯგუფში:

– 12 წლამდე ჩათვლით
– 13 წლიდან 18 წლამდე, ჩათვლით.

15 ოქტომბრის შემდგომ (საფოსტო ნიშნით ან პირადი წარდგინებით) მიღებული მასალა კონკურსზე არ დაიშვება.

3. კონკურსის თემა (სიუჟეტი, მოთხრობა, ესსე, კომპოზიცია) უნდა გამოხატავდეს ოლიმპიურ სულისკვეთებას და უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ოლიმპიურ ღირსებებს (ხუთი ნომინაცია):

– საკუთარი თავის წარმოჩენა
– სამართლიანი თამაში
– თავდადებით განცდილი მხიარულება
– სხვების პატივისცემა
– გონებასა და სხეულს შორის არსებული ჰარმონია.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი თემა ქართულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე.

წარმოდგენილი მასალის ძირითადი უპირატესობა იქნება მისი სიმცირე, სიზუსტე და კომპოზიციურობა.

4. თითოეულ თემაში (სულ ხუთი თემა-ნომინაცია) ჟიურის მიერ სეოკ-ის სიგელითა და სეოკ-ის ემბლემიანი ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდება სამსამი ნაწარმოები; ხოლო პირველი პრიზის მფლობელი, ასაკის მიხედვით, წარდგენილი იქნება საერთაშორისო კონკურსზე (საჭიროების შემთხვევაში მათ თარგმანს ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე უზრუნველყოფს სეოკ-ი).

გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ოლიმპიელში" ან გამოიცემა ცალკე.

5. კონკურსში მონაწილე მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს დაბეჭდილი ფორმით გვარის, სახელის, მისამართის, სასწავლებლის ან საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, ტელეფონითა და ფოტოსურათით (6X9).

6. საერთაშორისო კონკურსის ვადების შეცვლის შემთხვევაში, მოცემულ დებულებაში შეტანილი ცვლილებები გამოქვეყნდება.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს პირობების გაცნობა შეუძლიათ სეოკ-ში (თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 65, ტელ.: 95 36 87. დ. კინწურაშვილი) და საქართველოს ოლიმპიურ აკადემიაში (სპორტის აკადემია, ი. ჭავჭავაძის 49ა, ტელ.: 29 37 92. ა. ციბაძე).

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

## ჯუმბერ ლეჟავას მსოფლიო მოგზაურობა მარტოდმარტო ველოსიპედით დედამიწის გარშემო

1993 წლის 13 აგვისტოდან დღემდე (7 წელიწადსა და 8 თვეში), ჩვენმა თანამემამულემ განახორციელა დედამიწის დიდი გარშემოვლა. ამ დღეებში მეორედ ეწვია კაიროს (ეგვიპტე). განვლო ყველა კონტინენტი (175 ქვეყანა), 450 ათასი კმ, აქედან ველოსიპედით – ნახევარზე მეტი; დაძლია ყველა გეოგრაფიული და კლიმატური სარტყელი, ექსტრემალურ ვითარებაში გამოსცადა თავისი გული, სული, გონება, ძალი. დაამტკიცა, რომ ღვთის ნებით, ადამიანს, ასაკის მიუხედავად, სასწაულების ჩადენა ძალუძს.

**მსოფლიო მოგზაურობის სააგენტო.**

## უნივერსიადამ ფეხი აიდგა

გუშინ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, სტუდენტთა სპორტის ისტორიაში პირველად შეიკრიბნენ სპორტისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, კათედრების გამგეები, რათა ერთობლივად და საბოლოოდ განეხილათ საქართველოს უნივერსიადის ჩატარების ორგანიზაციული საკითხები. სხდომას უძღვებოდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.

უნივერსიადის პროგრამაში სპორტის 16 სახეობა შედის. კალათბურთი (ვაჟები, ქალები), ფრენბურთი (ვაჟები, ქალები), მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფარიკაობა, ძიუდო (ვაჟები), მძლეოსნობა, ცურვა, რაგბი (შვიდკაცა), ხელბურთი (ვაჟები), ქართული ჭიდაობა, კრივი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მკლავჭიდი და ჭადრაკი. უნივერსიადა საზეიმოდ გაიხსნება 20 აპრილს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში 16 საათზე. სპორტის ზოგიერთ სახეობაში ასპარეზობები უკვე დაიწყო, უნივერსიადა 20 მაისამდე გასტანს.

სხდომაზე ითქვა, რომ საერთო ძალისხმევით, ეს კომპლექსური სპორტული ღონისძიება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდება. ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებების მასპინძლობა თავის თავზე აიღეს თბილისის, ბათუმის, გორის და ქუთაისის უმაღლესმა სასწავლებლებმა. გადაწყდა,



ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში გორში პირველობები გაიმართოს გადაბმით 7, 8 და 9 მაისს, რაც გამორიცხავს ზედმეტ ხარჯებს. უნივერსიადაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ეყოლება თსუ-ს და სტუ-ს – 310-310, სამედიცინო უნივერსიტეტი გამოიყვანს 210 სპორტსმენს.

უნივერსიადის მთავარი ამოცანაა საქართველოში სტუდენტთა სპორტის აღორძინება, მასობრიობა და ოსტატობის ამაღლება. ამ ღონისძიების ჩატარების ორგანიზებისათვის კმაყოფილება გამოთქვა სტუდენტური სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა, თსუ-ს რექტორმა როინ მეტრეველმა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ გაიპარაშვილმა.

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ საერთო მცდელობით, პირველი შედეგი მიღწეულია – ჩვენ ერთად შევიყარეთ, ესაა სტუდენტთა სპორტის, საერთოდ ქართული სპორტის სასიკეთოდ წინგადადგმული ნაბიჯი" – თქვა შეხვედრის დასასრულს ირაკლი მეძმარიაშვილმა.

## გუდაურში სამთო-სათხილამურო სეზონის დახურვა



გუდაურმა სეზონის ბოლო ასპარეზობას, საქართველოს ფინალურ პირველობას უმასპინძლა სამთო-სათხილამურო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ მესტიის, ბაკურიანის, გუდაურისა და თბილისის 49 სპორტსმენი. 11 გოგონა გამოდიოდა ერთ ასაკობრივ ჯგუფში, ბიჭები კი ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყო.

გიგანტურ სლალომში გოგონებში გაიმარჯვა გუდაურელმა მარიამ კაიშაურმა, მეორე ადგილზე თბილისელი თამარ რობაქიძე გავიდა, მესამე იყო გუდაურელი თამარ გაგაძე. სამივე საქართველოს ნაკრების წევრია.

ბიჭებში უმცროს ასაკში გიგანტურ სლალომში ყველას აჯობა გუდაურელმა გიგა ბურდულმა, მეორე იყო ნოდარ ჩხეიძე (თბილისი), მესამე – გიორგი თედიაშვილი (ბაკურიანი).




უნდა აღინიშნოს, რომ უფროს ასაკში სამივე საპრიზო ადგილი ბაკურიანელმა სპორსტმენებმა დაიკავეს: 1. გიგლა მახარაშვილი, 2. გიორგი ებრალიძე, 3. ირაკლი ნასყიდაშვილი.

სლალომში გოგონათა შორის თამარ რობაქიძემ მოიპოვა გამარჯვება, მეორე ადგილზე მარიამ ცაიშვილი გავიდა, მესამეზე – ანა ნიჟარაძე (სამივე – თბილისი).

უმცროსი ასაკის ჭაბუკებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ირაკლი ჟორჟოლიანი (მესტია), 2. გიგა ბურდული, 3. გიორგი თედიაშვილი. უფროსი ასაკი: 1. მახარაშვილი, 2. ვახტანგ კოპაძე, 3. შოთა გოცირიძე.

შეჯიბრება ჩატარდა სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის, გოგი თოფაძისა და გუდაურის სპორტული სასტუმრო კომპლექსის გენერალური დირექტორის, ვახტანგ მიქელაძის, მისი მოადგილის ნუკრი კოტრიკაძის ძალისხმევით.

გოგი თოფაძემ გამარჯვებულებს გადასცა დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.

სასიხარულოა, რომ გამოჩნდნენ გუდაურელი პერსპექტიული სპორტსმენები, რაშიც დიდია ვახტანგ მიქელაძის და ანზორ ხვედელიძის დამსახურება. თამარ გაგაძე და მარიამ კაიშაური გუდაურის სკოლის მოსწავლეები არიან. ბოლო სამი წელიწადია, მათ მზადებასა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას სასტუმრო „გუდაური" აფინანსებს. პერსპექტიული სპორტსმენები არიან აგრეთვე: გუდაურელი გიგა ბურდული, მესტიელი ირაკლი ჯაფარიძე, ბაკურიანელები: გიორგი თედიაშვილი და იასონ აბრამაშვილი.

ნაკრების წევრები წარმატებით მონაწილეობდნენ ბავშვთა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

უცხოელ სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს თამარ რობაქიძემ და მარიამ კაიშაურმა. თუ მათ სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, საკმაოდ მაღალ შედეგებსაც მიაღწევენ. დავძენთ, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი დაინტერესებულია სპორტის ამ ერთ-ერთი ულამაზესი სახეობის განვითარებით საქართველოში.

**სოფიკო აზმეტელი**

## მკლავჭიდი მშობლიურ კედლებში



საქართველოში მკლავჭიდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირმშოა. ამიტომ იყო, რომ უნივერსიადის პროგრამით მკლავლონიერ-გონიერ ბიჭების ასპარეზობა თსუ-ს დარბაზში ჩატარდა. გულშემატკივრებიც უამრავი მივიდა პაექრობების სანახავად. ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა და ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს შეჯიბრების სამაგალითოდ ჩასატარებლად. 16 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა იასპარეზეს ოთხ წონით კატეგორიაში.

**კვარცხლბეკი:** ***60 კგ:*** 1. დათო ყაზახაშვილი (თსუ), 2. ალეკო მაისურაძე (სტუ), 3. ზაზა ღუდუშაური (აგრ. უნ.); ***70 კგ:*** 1. ნოდარ შუბითიძე (თსუ), 2. გელა არაბული (თელავის უნ.), 3. მამუკა რატიანი (ქუთ. უნ.); ***80 კგ:*** 1. გიორგი უბილავა (თსუ), 2. ნიკოლოზ კიკნაველიძე (აგრ. უნ), 3. ნიკა გიორგელაშვილი (თელავის უნ.); ***90 კგ:*** 1. გიორგი შიოშვილი (გორის უნ.), 2. დავით მუსელიანი (ფ/ა და სპ. აკ.), 3. კახა ონიანი (ს-ს ორბელიანის სახ. უნ.); ***მძიმე:*** 1. ზურაბ კელეხაშვილი (აგრ. უნ.), 2. ილია მამულაშვილი (სამედ. უნ.), 3. გიორგი მაგრაქველაძე (სტუ).

**ნუგზარ ჯიაბერაშვილი**

# განცხადება

**სს სპორტული კომპლექს „ლაგუნა-ვერე"-ს აქციონერთა მორიგი კრების მოწვევის შესახებ**

**სააქციო საზოგადოება სპორტული კომპლექსი „ლაგუნა-ვერე"-ს დირექცია იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა მორიგ, საერთო კრებას.**

**კრება გაიმართება 2001 წლის 4 მაისს 16.00 საათზე, საზოგადოების სააქციო დარბაზში, მისამართი ქ. თბილისი, მ. კოსტავას 1 შეს. №34.**

**დღის წესრიგი:**

**1. 1999-2000 წლების წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;**

**2. დირექტორების ანგარიშის დამტკიცება;**

**3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;**

**4. 2001 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;**

**5. სხვადასხვა.**

**დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში.**

**აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექციას 2001 წლის 1 მაისამდე.**

**სს სპორტული კომპლექს „ლაგუნა-ვერე"-ს დირექცია**

## ერევანში აჭარლებმა თავი ისახელეს



### მთამსვლელთა ყრილობა

2001 წლის 27 აპრილს, 15 საათზე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში (ჭავჭავაძის გამზირი, 49ა), ჩატარდება საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

ერევანში „რაზდანის" სასროლეთზე დამთავრდა სომხეთის გაზაფხულის ღია პირად-გუნდური პირველობა მშვილდოსნობაში, რომელშიაც ორი სრული გუნდით მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ქალთა გუნდურ პირველობაში იმარჯვა აჭარის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ხათუნა ფუტკარაძე, ოლღა ლადიგინა და გალინა ტოცკაია. ამ ტრიომ მ-1 ვარჯიშში (70, 60, 50 და 30 მ.) 3.657 ქულა მოაგროვა.

მამაკაცთა შორის აჭარის ნაკრებმა (სერგო ბერიძე, ლადო ბოლქვაძე და დათო შამილიშვილი) სომხეთის ნაკრების შემდეგ (3.549) მეორე ადგილი დაიკავა (3.431).

თვალი გადავავლოთ ინდივიდუალურ შედეგებს. ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ბათუმის აგრარული უნივერსიტეტის მეორეკურსელმა ხათუნა ფუტკარაძემ, რომელმაც ფიტას პირველ წრეში 1.309 ქულა დააგროვა. შევნიშნავთ, რომ ეს შედეგი ხუთი ქულით აღემატე-

იხ. მე-3 გვ.

# ერევანში აჭარლებმა თავი ისახელეს

*(მეორე გვერდიდან)*

ბა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

მეორე ადგილი წილად ხვდა აგრეთვე აჭარელ მშვილდოსანს ოლღა ლადიგინას. მან 52 ქულით გადამეტა სპორტის ოსტატის ნორმატივს — 1.252. ფინალურ წრეში ჩვენები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დავა ხათუნას სასარგებლოდ გადაწყდა — 100:95.



უდავოდ ქების ღირსია ბათუმის აგრარული უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ლადო ბოლქვაძე, რომელმაც მ-1 ვარჯიშში 1.149 ქულა მოაგროვა და მეოთხე ადგილზე მიდიოდა, ფინალში შედეგი უფრო გააუმჯობესა და ლადომ მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა არმენ დავთიანი — 107:97.

პირველი ადგილისათვის დავაში ანდრონიკ შახნაზარიანმა დაამარცხა არტურ ბატიკიანი — 103:100.

შეჯიბრების დახურვის ცერემონიალზე ბათუმელ მშვილდოსნებს შესაბამის დიპლომებთან ერთად ფულადი პრემიები გადაეცათ, ხოლო ყველაზე საუკეთესო შედეგისათვის ხათუნა ფუტკარაძე სომხეთის სპორტკომიტეტის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

**რუბენ კაცობაშვილი**

ბათუმი

**გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს!**

„ლელო“ ის გაზეთია, რომელსაც მკითხველის სიყვარული და სიმპათია არასოდეს მოჰკლებია.

მილიონობით ქართველი, და მათ შორის ჩემი თაობაც, „ლელოს“ ერთგული მეგობარი და მკითხველი იყო ათეული წლების მანძილზე.

მიხარია და მეამაყება, რომ რამდენიმე წლის მანძილზე მეც „ლელოელი“ გახლდით და მის ფურცლებზე ჩემი ბათუმური კორესპონდენციებიც იბეჭდებოდა. თქვენმა (და ჩვენმა) გაზეთმა დიდი და წარუშლელი ამაგი დასდო ქართულ სპორტს და ფეხბურთს უპირველესად. ამიტომაც მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, რომ სწორედ „ლელოს“ მიანიჭეს საუკუნის საუკეთესო სპორტული გაზეთის სახელი.

სულითა და გულით გილოცავთ ამ დიდ აღიარებას და ახალ წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით

მუხრან ბოგალაძე,
გაზეთ „ბათუმის“ რედაქტორი

# სათანრიგო ნორმატივები მთამსვლელობაში (პროექტი)



**მთამსვლელთა** კვალიფიკაციის დონის განმსაზღვრელი ნიშნების სისტემის დადგენის პირველი მცდელობა ჩვენში 1934 წელს მოხდა. დაწესდა სსრკ ალპინისტის I და II საფეხურის ნიშნები და პერსონალური წოდებები „ალპინიზმის ოსტატი“ და „ალპინიზმის დამსახურებული ოსტატი“. ერთიან საკავშირო კლასიფიკაციაში სათანრიგო ნორმები მოგვიანებით, 1949 წელს შევიდა. შემდგომში, სპორტის სხვა სახეობის ანალოგიურად, ალპინიზმშიც შემოიღეს სპორტის ოსტატის კანდიდატის თანრიგი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. ვინაიდან მთამსვლელობა არ მიეკუთვნება სპორტის ოლიმპიურ სახეობას და ტარდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების განმსაზღვრელი ნორმები არ დაწესებულა. ამ წოდებას მთამსვლელებს ანიჭებდნენ განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისათვის.

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, მაგალითად, მიენიჭათ „ჰიმალაი-82“ საბჭოთა ექსპედიციის მთელ ჯგუფს — 16 მთამსვლელს, მათ შორის საქართველოდან აკაკი ხერგიანს, თუმცა, მაშინ, ევერესტის ურთულესი სამხრეთი კედლის გავლა მხოლოდ 9 მთამსვლელმა შეძლო.

**სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება თერთმეტ ქართველ მთამსვლელს აქვს მინიჭებული: ალექსანდრა ჯაფარიძეს (1945 წ.), იოსებ ახალნიშვილს (1946 წ.), ივანე მარს, ბექნუ ხერგიანს, ჭიჭიკო ჩართოლანს, გოჯი ზურებიანს, მაქსიმე გვარლიანს (ხუთივეს — 1951 წ.), მიხეილ ხერგიანს (1963 წ.), დიმიტრი ობოლაძეს (1965 წ.), ლევან ახვლედიანს (1966 წ.), აკაკი ხერგიანს (1982 წ.).**

**სპორტის ოსტატის წოდება კი 65 ქართველმა მთამსვლელმა მოიპოვა.**

**რაც შეეხება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებას — ურთულესი ნორმატივების შესრულება (ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში სსრკ ჩემპიონატებში დაკავებული ადგილებით 40 ქულის დაგროვება, მაშინ როცა I ადგილი მხოლოდ 10 ქულას იძლეოდა) ქართველთაგან მხოლოდ ოთხმა მთამსვლელმა შეძლო: მიხეილ ხერგიანმა (1967 წ.), შოთა მირიანაშვილმა, დიმიტრი დანგაძემ და გიორგი აბაშიძემ (სამივე — 1977 წ.).**

**სათანრიგო ნორმატივებს ალპინიზმში საფუძვლად უდევს მზარდი კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე ასვლების პირადი გამოცდილების თანმიმდევრული და სისტემატური დაგროვება.**

**საერთო სპორტული დონის ამაღლების, ახალი ტექნიკურ-ტაქტიკური ილეთების დანერგვის და სულ უფრო და უფრო სრულყოფილი აღჭურვილობის შექმნისა და მასობრივი წარმოების პარალელურად, დროდადრო — 4 წელიწადში ერთხელ, სათანრიგო ნორმატივები პერიოდულად გადაისინჯება და მკაცრდება. ცხადია, ეს ცვლილებები ადეკვატურად უნდა აისახოს სასწავლო-საწვრთნო პროგრამებში და თვით „მწვერვალებზე ასვლების წესებშიც“.**

**სპორტული ნორმატივების შემოთავაზებული სისტემა (მას საფუძვლად დსთ ქვეყნების მთამსვლელთა ფედერაციების ანალოგიური ნორმატიული აქტები დაედო), ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს სპორტული მიღწევების ზრდას, მთამსვლელთა მომზადების საკვალიფიკაციო დონის ამაღლებას, ასვლების უსაფრთხოებას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციისა და მეთოდიკის სრულყოფას, შეჯიბრებების დონისა და ხარისხის რეგულირებას და ა.შ.**

**თანრიგების მინიჭების რიგი და მათი დადასტურების დოკუმენტური გაფორმება, ცალკეულ შემთხვევებში კი სპორტული თანრიგების ჩამორთმევა ან თანრიგის რანგის დაწევა, რეგლამენტირებულია შესაბამისი დებულებებით და ინსტრუქციებით.**

**სათანრიგო ნორმატივების საკითხის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა იმითაც არის მიზანშეწონილი, რომ 1983 წლიდან სსრკ-ის დაშლამდე ქართველ მთამსვლელთაგან არავის შეუსრულებია და არ მინიჭებია მაღალი სპორტული წოდებები. რაც შეეხება სსრკ-ის დაშლის პერიოდს, დღემდე ჩვენში მთამსვლელთა ახალი კადრების მომზადებისა და მათი შემდგომი დაოსტატების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა არ მოქმედებდა. რამაც, ცხადია, მნიშვნელოვნად დასწია ალპინიზმის დონე საქართველოში.**

რაც შეეხება ბოლო ათწლეულში ჩვენების მიღწეულ შედეგებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ეს შედეგები უმრავლეს შემთხვევაში არ პასუხობენ მოთხოვნებს, რომლებიც ალპინიზმის საერთაშორისო დონეს შეესაბამება. ასევე, **ჩვენში ფართოდ გახმაურებული სასიმაღლო ასვლები ჰიმალაიში შესრულებული იყო ტურისტული კომერციული ფირმების მიერ წინასწარ გამზადებული ტრასებით. რაც, ექსპერტების აზრით, დღეს მაღალ ღირებულ სპორტულ მიღწევად არ შეიძლება იყოს მიჩნეული. მით უმეტეს, რომ ხსენებული ასვლები ჟანგბადის ნიღბების გამოყენებით შესრულდა.**

ამდენად, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისათვის არ არის ცნობილი თუ რეალურად რა სიმაღლეზეა საერთოდ ალპინიზმი და მათ შორის სპორტული ალპინიზმის დონე საქართველოში.

ახალი სათანრიგო ნორმატივების საჯარო განხილვა (ცხადია, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების დონის ობიექტურ შეფასებასთან ერთად) და მათი ცხოვრებაში გატარება, ფედერაციის აზრით, ხელს შეუწყობს ქართული ალპინიზმის აღორძინებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სათანრიგო ნორმატივების წარმოდგენილ პროექტს საფუძვლად დაედო სსრკ (1976-1979 წლები) და დსთ ქვეყნების ამჟამად (1997-2001 წლები) მოქმედი ნორმატივები, რაც ერთი მხრივ განპირობებულია იმით, რომ რუსეთისა და უკრაინის ალპინისტურ სკოლებს დღეს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავიათ როგორც სასიმაღლო, ისე ტექნიკური ასვლების კლასში, ხოლო მეორეს მხრივ იმით, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართულ მთამსვლელურ სკოლას მოწინავე პოზიციები ეკავა. **სსრკ ჩემპიონატებში, რომლებიც 1953 წლიდან იმართებოდა, ქართველმა მთამსვლელებმა 11-ჯერ პირველი, 10-ჯერ მეორე და 7-ჯერ მესამე ადგილები დაიკავეს. ცალკეული ქართველი მთამსვლელები სსრკ ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ სხვა რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებში გამოსვლებში.**

რუსეთის მაგალითს იმიტომ მივმართავთ, რომ ქართველ მთამსვლელთა ბოლო დროის ასვლების ჩამონათვალში ხშირად კეთდება აქცენტი რუს მთამსვლელებთან ერთობლივი ასვლების თუ რუსეთის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლების თაობაზე (მაგ., „ევრაზიის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი“). რეალობაში კი ევრაზიის (უფრო სწორად, დსთ-ს ჩემპიონატი) რუსეთის რეგიონული შეჯიბრების კატეგორიაში გადის („ბ“ კლასის პირველობა) და ალპინიზმის სპეციალისტების ყურადღებას ნაკლებად იმსახურებს.

რუსეთში ალპინიზმის რეალური დონის წარმოდგენაში კი ამ ქვეყანაში მოქმედი (1997-2001 წლები) სათანრიგო ნორმატივები დაგვეხმარება: სპორტის ოსტატის წოდების მოსაპოვებლად არსებული მოთხოვნების სამი ვარიანტიდან ყველაზე იოლ ვარიანტში, სპორტის ოსტატის კანდიდატის თანრიგის სპორტსმენმა ბოლო ოთხი კალენდარული წლის მანძილზე უნდა მოაგროვოს 20 ქულა (მათ შორის 6 ქულა აუცილებლად რუსეთის ჩემპიონატში დაკავებული ადგილებით), ამასთან, შეასრულოს 6 B კატეგორიის სირთულის ასვლა, რაც, ცხადია, მეტად რთული ამოცანაა.

რაც შეეხება დარჩენილ ქულებს, მათი დაგროვება სპორტსმენს ასვლების საშუალებით ეძლევა: 5B — 0,5 ქულა, 6A — 2 ქულა, 6B — 3 ქულა. თუ რა რაოდენობის 5B, 6A და 6B კატეგორიის სირთულის ასვლების შესრულებაა საჭირო დარჩენილი ქულების მოსაპოვებლად, მკითხველს თავად შეუძლია დაიანგარიშოს. 5B, 6A და 6B ასვლებისათვის: წყვილში, ზამთრის პირობებში, მარშრუტის პირველგავლისათვის და სასიმაღლო ასვლისათვის სპორტსმენს დამატებით ერიცხება ქულა, რაც თითქოსდა აიოლებს ქულების დაგროვებას. მაგრამ ვინც ალპინიზმს იცნობს, კარგად უწყის, თუ რა ძნელად მოსაპოვებელია ეს დამატებითი ქულები.

გაცილებით უფრო რთულია საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმის შესრულება: სპორტსმენმა ოთხი კალენდარული წლის მანძილზე უნდა დააგროვოს (რუსეთის ჩემპიონატზე დაკავებული ადგილებით) 30 ქულა, გარდა ამისა, შეასრულოს სამი 6B კატეგორიის სირთულის ასვლა წყვილში, პირველგავლა, ზამთრის, სასიმაღლო; ან შეასრულოს ორი ასვლა უჟანგბადოდ, 6A კატეგორიის სირთულის მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება და, გარდა ამისა, რუსეთის ჩემპიონატზე დაიკავოს I ან II ადგილი. ამასთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებიც უკვე არიან სპორტის ოსტატები. ამდენად, თუ ზემოხსენებულ ნორმებს საერთაშორისო დონის ერთგვარ ორიენტირებად მივიჩნევთ, მაშინ დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად ჩვენ არცთუ იოლი გზა გვაქვს გასავლელი.

შესაძლოა საზოგადოების ნაწილს მიაჩნდეს, რომ რუსებისა და უკრაინელების დონე ქართველთათვის არ გამოდგება და ჩვენ ჩვენთვის მისაღები, გაიოლებული ნორმები უნდა შევიმუშაოთ. ზოგი ალბათ, იმასაც იტყვის, რომ ჩვენ არც ნორმები გვჭირდება და არც იმის გააზრება თუ რა დონეზე ვიმყოფებით.

შენიშვნები და წინადადებები გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 37. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია — ალ. ჯაფარიძის სახ. ალპინისტური კლუბი.

**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო**

---

*ალპინისტური მარშრუტები სირთულის მიხედვით 6 კატეგორიად არის დაყოფილი. თითოეულ კატეგორიაში, პირველის გარდა, ორი ქვეკატეგორიაა A და B. მაგალითად 4A და 4B კატეგორიის სირთულის მარშრუტები. ყველაზე იოლია 1B კატეგორიის სირთულის მარშრუტი, ყველაზე ძნელი — 6B.*

*მკითხველს კი ცნობის სახით მივაწვდით, რომ კავკასიონის ერთ-ერთ ტექნიკურად ყველაზე რთულ მწვერვალებზე უშბაზე და ჩიტინზე, დღემდე გავლილ 46 მარშრუტიდან (ჩრდილოეთი უშბა — 13, სამხრეთი უშბა — 19, ჩიტინი — 14) 6B კატეგორიის სირთულის არც ერთი არ არის.*

# ჯეელი „ბორჯღალოსნები“ აღზევდნენ



ჩილეში, ჭაბუკთა (19 წლამდე) 33-ე მსოფლიო პირველობაზე, II ჯგუფში მოასპარეზე საქართველომ, ოთხშაბათს, ნახევარფინალში 31:8 ძლია ესპანეთი და გაისად, იტალიაში, 34-ე ჩემპიონატზე I ჯგუფში იასპარეზებს. ქართველმა ჭაბუკებმა ესპანეთს შავი დღე აყარეს და ოთხი ლელო გაუტანეს. ანგარიში უკვე მე-3 წუთზე ლელოთი გახსნა „ლოკომოტივის“ გარემარბმა ლექსო გუგავამ, პირველი ტაიმის ბოლოს კი „აიას“ შუამარბმა ირაკლი გიორგაძემ მეორე ლელოც გაიტანა.

მეორე ტაიმში კავკასიელმა იბერიელებმა კიდევ ორჯერ დაალელოვეს ევროპელი იბერიელები. თავი ისახელეს ისევ და ისევ ქუთათურებმა: ჰუკერმა ავთო კოპალიანმა და 8 ნომერმა შოთა საყვარელიძემ, ყოველივე ამას კი „ყოჩების“ 15 ნომერმა ივანე სოხაძემ ოთხი გარდასახვა და ერთიც საჯარიმო დაურთო.

ფინალში, რომელიც ჩილურად შაბათს, 14 აპრილს, ჩვენებურად კი უკვე კვირას, 01:45 საათზე დაიწყება, „ბორჯღალოსნები“ ეთამაშებიან რუსეთს, რომელმაც კანადას ბოლო წუთზე გატანილი საჯარიმოთი 16:13 ძლივს აჯობა.

*II ჯგუფის III ტური (11 აპრილი)*

*აღსაზევებლად (I-IV ადგილები):*
საქართველო - ესპანეთი 31:8
რუსეთი - კანადა 16:13

*ღირსებისთვის (V-VIII ადგილები)*
უკრაინა - ლიტვა 15:10
პოლონეთი - აშშ 38:9

*ზრდილობისთვის (I-II ადგილები):*
გერმანია - ტუნისი 22:15
მაროკო - პორტუგალია 24:22

*გაჟარდნილთა სანუგეშოდ (III-VI ადგილები)*
ჩეხეთი - შრი ლანკა 13:12
პარაგვაი - ბელგია 16:7

*II ტური (8 აპრილი)*
საქართველო - აშშ 24:7

*I ტური (5 აპრილი)*
საქართველო - გერმანია 29:0

ელიტარულ I ჯგუფში ორშაბათს, 9 აპრილს, მეოთხედფინალები ასე დასრულდა:

*საჩემპიონოდ (I-VIII ადგილები)*
საფრანგეთი - ინგლისი 34:17
უელსი - ურუგვაი 30:3
ახალი ზელანდია - სამხრეთი აფრიკა 34:20
ავსტრალია - არგენტინა 51:17

*დასარჩენად (I-VI ადგილები)*
შოტლანდია - კორეა 63:19
ირლანდია - ჩილე 29:3
იტალია - რუმინეთი 18:18 (იტალიამ მეტი ლელო გაიტანა)
იაპონია - სამოა 28:27.

# სპორტული პლანეტა

## „იმოლა“ საგანგებოდ ემზადება

ფორმულა-1

როგორც ცნობილია, წლევანდელ „ფორმულა-1“-ის მესამე ეტაპი ცნობილ ავტოდრომ „იმოლაზე“ გაიმართება, სადაც „სან-მარინოს „გრან-პრი“ გათამაშდება. ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს იმ 250 ათასი გულშემატკივრის უსაფრთხოებისთვის, რომელიც „იმოლაზე“ მოვა. ყოველი შემთხვევისთვის ტრიბუნებთან ახლოს სასწრაფო დახმარების 7 მანქანა იმორიგევებს, მზადყოფნაში იქნება ორი სამედიცინო შვეულმფრენიც.

## ტურეცკის გაასამართლებენ




**მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს — ავსტრალიის ეროვნული სპორტის ინსტიტუტის მთავარი მწვრთნელი, რომელმაც მოამზადა ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში ალექსანდრ პოპოვი, შარშანდელი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი ავსტრალიელი მაიკლ კლიმი სასამართლოს წინაშე წარსდგება. მას ბრალდება აკრძალული ფარმაკოლოგიის შენახვა.**

**როგორც ვიტყობინებოდით, გასულ კვირას ტურეცკის სახლი კანბერაში პირწმინდად გაქურდეს. წაღებულ ნივთებს შორის იყო პოპოვის ოლიმპიური ოქროს მედალი, სხვა უნიკალური ჯილდოები, დიდძალი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კომპიუტერები. ქურდებმა, თურმე, ხელთ გაიყოლეს სპეციალური სეიფი, სადაც რუსეთელი სპეციალისტი ინახავდა წამლებს. სწორედ ეს ყუთი აღმოაჩინა პოლიციამ სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. როდესაც სამართალდამცავები წამლების სიას გაეცვნენ, გაირკვა, რომ ბევრი მათგანის ხმარება სპორტში აკრძალულია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# მიმართვა

## ყველა მსაჯისადმი, ინსპექტორისადმი (დელეგატისადმი) გუნდების ხელმძღვანელისადმი, მოთამაშისადმი

როგორც თქვენთვის ცნობილია, ეროვნული ჩემპიონატი შევიდა ყველაზე საპასუხისმგებლო ფაზაში. ჩვენი სურვილია, მაყურებელმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმა ეს მიმართვა გაითავისონ და არ ჩათვალონ იგი უმნიშვნელო ფაქტად. ეს მიმართვა კატეგორიულია ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან და სრულად შეესაბამება ფიფასა და უეფას მოთხოვნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სამსაჯო-საინსპექტორო და ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტების წარმომადგენლობით თქვენს ყურადღებას მიაპყრობს ზოგიერთ არასასურველ ნეგატიურ ფაქტებს, რომლებიც თავს იჩენს საფეხბურთო მატჩებისას.

იყო შემთხვევები, როდესაც მოთამაშეები ხმამაღლა, უხეში, უცენზურო გამოთქმებით მიმართავდნენ მოწინააღმდეგეს ან თავის თანაგუნდელს, განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც უცენზურო გინებით მიმართავენ მსაჯებს და ინსპექტორს.

ბევრი მწვრთნელი არ იცავს წესრიგს ტექნიკურ ზონაში, იქცევიან არაეთიკურად, უცენზურო სიტყვებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას როგორც თავისი გუნდის მოთამაშეების, ასევე მსაჯთა ბრიგადის მისამართით.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მკაცრად აფრთხილებს ყველა არბიტრს და ინსპექტორს (დელეგატი), რათა მათ არ დატოვონ რეაგირების გარეშე არც ერთი ასეთი ფაქტი და ყველაზე მკაცრი ზომებით შეებრძოლონ დისციპლინის დარღვევებს და გამოიყენონ ყველა მეთოდი, რომელიც გათვალისწინებულია დისციპლინარული კოდექსით და ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტით.

კლუბების ხელმძღვანელებს ვთხოვთ თავიანთ კლუბებში განიხილონ მოცემული მიმართვა და გააცნონ ყველა მწვრთნელსა და ფეხბურთელს, რათა აღმოფხვრილ იქნას მსგავსი შემთხვევები. მსაჯები და ინსპექტორები (დელეგატები), რომლებიც სათანადო დონეზე არ შეასრულებენ თავის მოვალეობას, მკაცრად დაისჯებიან დისციპლინარული კოდექსის თანახმად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს ყველა მსაჯს, ინსპექტორს (დელეგატს), კლუბების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებს, საფეხბურთო მატჩების ყველა მონაწილეს, მკაცრად დაიცვან წესრიგი სტადიონებზე, კიდევ უფრო მომთხოვნი გახდნენ და პასუხისმგებლობა აიმაღლონ, რათა პრაქტიკიდან ამოვიღოთ ისეთი უარყოფითი მომენტები, რომლებიც არ ალამაზებენ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებს.

დარწმუნებული ვართ, რომ ერთობლივი ძალებით სასურველ და სათანადო დონეზე ავიყვანოთ ქართულ ფეხბურთს.

ზ. ფირცხალავა,
ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტის თავმჯდომარე

ა. მილჩენკო,
სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## III ტური მეორე ეტაპი

I–VI ადგილები

# ქართული «ლიდსი»

**დინამო (თბილისი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 2–1**

**დინამო:** გრიშიკაშვილი ა. სვანაძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, გაბიდაური, ბურდული, მიკუჩაძე (აფციაური, 64), თუთარაშვილი (ქარდავა 68, ჩივაძე, 86), ზირაქიშვილი, მანწკავა.

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, შალამბერიძე, ქობულაძე (ვართაგავა, 85), კვირკველია, ხუჭუა, ღალანიძე, წივწივაძე, ფანჩულიძე, გვასალია, მუმლაძე (შავგულიძე, 60).

***გოლები:*** 1-0 ზირაქიშვილი (30). 2-0 თუთარაშვილი (55) 2-1. წივწივაძე (81).
***გააფრთხილეს:*** წივწივაძე, ფანჩულიძე, მანწკავა.
***მსაჯი:*** დ. სანაია (სოხუმი).

როგორც მოსწრებულად აღნიშნა პრეს-ლოჟაში ერთ-ერთმა კოლეგამ, „დინამო" ისე თამაშობდა, მართლაც უწვერული ბიჭებით დაკომპლექტებული „ლიდსი" გეგონებოდათ. დინამოელი ახალგაზრდები, რომელთა ნახევარსაც ტრიბუნიდან მაყურებელი ვერც სახეზე სცნობს და ვერც გვარით გამოარჩევს, ვაჟკაცურად, ხისტად და თავდადებით იბრძვიან. ეს კი ისეთი რამაა, უცილობლად რომ მიგვიყვანს ოსტატობის ამაღლებამდე.

გამოცდილმა ფოთელებმა ახალგაზრდა დინამოელთა თავიდანვე „მოხრჩობა" გადაწყვიტეს და მედგრად შეუტიეს, მაგრამ მასპინძლები მალე მოეგნენ გონს და 30-ე წუთზე დინამოელთაგან საუკეთესომ მიკუჩაძემ მინდვრის ცენტრში ორი მეტოქე ლამაზად მოატყუა და პირისპირ გაიყვანა ზირაქიშვილი. დინამოელთა საუკეთესო ბომბარდირი ამჯერად ზუსტი აღმოჩნდა. ამჯერადო იმიტომ ვთქვი, რომ ზირაქიშვილს საცა სამართალია, „პოკერით" უნდა დაეტოვებინა მინდორი, მაგრამ მატჩის უკანასკნელ წუთებზე იმდენი მომენტი გააცუდა, ფოთელებმა კინაღამ ფრეს გამოკრეს ხელი. მანამდე ბურდულმა მარჯვენა ფრთაზე ორი მეტოქე ლამაზად ჩამოიცილა და გამოზომილად ჩააწოდა საჯარიმოს ცენტრში, სადაც მეკარესთან ჩაწოლილმა თუთარაშვილმა იმარჯვა და მეორე გოლი შეაგდო. ამის შემდეგ კი დინამოელებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და კინაღამ ქულა გაატანეს მეტოქეს.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მეორე გატანილი გოლიდან ცოტა ხნის შემდეგ, გაბიდაურის კარგი პასით ზირაქიშვილი მარცხნიდან შეიჭრა ფოთელთა საჯარიმოში და მოცელეს. იგი ისე თავდაჯერებული გაემართა პენალტის ნიშნულისკენ, დინამოს გულშემატკივრებს გულმა ავი უგრძნო და მართლაც საუკეთესო ბომბარდირმა ხარიხას გადააცილა. ამის მერე წივწივაძემ ნაღდი გოლი ვერ შეაგდო, შალამბერიძის ბრწყინვალე საჯარიმო კი გრიშიკაშვილმა კუთხურზე მოიგერია. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, მოუსვენარმა წივწივაძემ მაინც მოახერხა დინამოელთათვის გაეტანა: იგი მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და გრიშიკაშვილის აუღებელი დაურტყა მარცხენა ძელთან. ამ გოლმა თამაში დაძაბა და ფოთელები მასპინძელთა მინდორზე დასახლდნენ. 90-ე წუთზე შავგულიძემ ბრწყინვალე შესაძლებლობიდან ააცილა დინამოელთა კარს. ამის მერე კი ზირაქიშვილის ბენეფისი უნდა დამდგარიყო, მაგრამ ჩემპიონატის ბომბარდირს ზედიზედ ორჯერ არ გაუმართლა. ორჯერვე მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯერ ხელებში მისცა ბურთი, მეორედ კი უარესი ჩაიდინა...

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა აი ეს გვითხრეს:

***სოსო ფილია:*** მეტოქემ დამსახურებულად გვაჯობა, თუმცა მატჩის ბოლოს ჩვენც შეგვეძლო ქულის ხსნა და დიდი ანგარიშით გამარჯვება. ჩემპიონატის დაძაბული რიტმიდან გამომდინარე გვიჭირს ძალების აღდგენა, თუმცა ამით, რა თქმა უნდა, არავის გამართლება არ შეიძლება.

***გოჩა ტყებუჩავა:*** პირველი ტაიმი კარგად დავიწყეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს 90 წუთის მანძილზე ერთი და იმავე რიტმით თამაში, ბურთის დაჭერა, ერთმანეთის დაზღვევა არ ძალუძს — ამას ფიზიკური სიძლიერე უნდა, ჩვენ კი უმოკლესი სათადარიგო სკამი გვაქვს. სავსებით ვეთანხმებით კოლეგას, ძალების აღდგენა გვიჭირს, თუმცა ეს არაფრით ამართლებს ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდას, ბოლომდე რომ არ იხარჯება. ამას ასე არ დავტოვებთ და შეიძლება ასეთები გუნდიდან გაირიცხონ. დიდი შანსი იყო ეს მოგებული თამაში წაგვეგო. რაც შეეხება მიკუჩაძეს, მას ბრწყინვალე მონაცემები აქვს, უთუოდ კარგი ფეხბურთელი უნდა დადგეს, მხოლოდამხოლოდ „ფიზიკაში" მოიკოჭლებს და ალბათ ამას ნორმალური, სრულფასოვანი შეკრება და ტრენაჟორებზე ყოველდღიური ვარჯიში თუ უშველის.

**მამუკა კვარაცხელია**

## ფეხბურთელთა სოციალური პრობლემები საერთო ძალისხმევით მოგვარდება

**ჩვენი ფეხბურთელები, განსაკუთრებით ვეტერანები, საზოგადოებრიობისაგან, უპირველესად თვით ფეხბურთის სამყაროსგან მეტ ზრუნვას და ყურადღებას უნდა გრძნობდნენ — ასეთი იყო იმ შეხვედრის ლაიტმოტივი, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა ამ დღეებში ეროვნულ სტადიონზე სფფ-ს, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის, ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირისა და უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრას. სოციალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრის აუცილებლობაზე ისაუბრეს მერაბ ჟორდანიამ, ვალერი ჩოლარიამ, ილია მჭედლიშვილმა, მურთაზ ხურცილავამ, ვლადიმერ ელოშვილმა, რეზო არველაძემ, იურისტმა ევგენი მეტრეველმა და სხვებმა. გადაწყდა, რომ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირთან შეიქმნას საქველმოქმედო ფონდი, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ფეხბურთელთა სოციალური საკითხების მოგვარებაში, უპირველესად თავს მოუყრის საპენსიო სახსრებს. თანხების აკუმულირებაში თავის წილს შეიტანს სფფ, მატჩებზე გაყიდული ბილეთების გარკვეული პროცენტიც გადაირიცხება ფონდში. ამასთან, დაისვა საკითხი, რომ კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს და წახალისდეს ქველმოქმედება.**

# გამოცდილებამ პური ჭამა

მ. მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონი.

**«ლოკომოტივი» (თბილისის — ვიტ ჯორჯია (თბილისი) 2–0**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე (ზ. ლაცაბიძე, 58), შელია, სალუქვაძე, გილაური, ჭიჭველიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე (ონიანი, 64), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კაიდარაშვილი, 46).

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე, ინწკირველი, დიღმელაშვილი, ჯ. მუჯირი, გოგობერიშვილი, დოლიძე, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (წოწონავა, 78), მელქაძე.

***გოლები:*** გოგიჩაიშვილი (35), ანჩაბაძე (86).
***მსაჯი:*** ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).



სულაც ვერ იტყვი, რომ გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა იოლ გამარჯვებას მიაღწია — ვეტერინარებმა ყველაფერი იღონეს თუნდაც ერთი ქულის მოსაპოვებლად, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მეტოქეს დიდი ძალა დააკლდა — წამყვანი ნახევარმცველი გივი კვარაცხელია (იგი რიგის „სკონტოში" გადავიდა). ამით რკინიგზელთა დანაკარგი არ შემოიფარგლა: მეორე ტაიმის დასაწყისში, ტრავმის გამო, მინდორი დატოვა დაცვის ბურჯმა კახი ცხადაძემ.

„ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელს გივი ნოდიას არაერთხელ უთქვამს, რომ გუნდის ძირითადი კოზირი გამოცდილი ფეხბურთელებია. სწორედ ბრძოლებში გამობრძმედილებმა კახი გოგიჩაიშვილმა პირველ ტაიმში და გიორგი ანჩაბაძემ მატჩის მიწურულს გოლებში გარდასახეს რკინიგზელთა კოლექტივის უმნიშვნელო ტერიტორიული უპირატესობა. არადა, ახალგაზრდა ვეტერინარებს რამდენიმეჯერ შეეძლოთ თავის გამოჩენა — ასე, მუჯირისა და ქორიძის შორეული დარტყმები კარის ხარიხას მოხვდა, ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვა მელქაძემაც. და საერთოდ, „ვიტ ჯორჯიას" თამაშმა ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა — გუნდს თანდათან დაეტყო იტალიელი მწვრთნელის კარნევალეს ხელი.

როგორც ვთქვით, „ლოკომოტივმა" გამარჯვებას მიაღწია გამოცდილების ხარჯზე, მაგრამ ერთობ დამაფიქრებელია ვინ შეცვლის ხვალ და ზეგ ვეტერანებს? გუნდში, განსაკუთრებით, თავდამსხმელთა დეფიციტი იგრძნობა...

**ჯემალ ჭიაშვილი**

**ტორპედო — მერანი-91 2-0**

**გათამაშების ცხრილი**

**I–VI ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 32 |
| დინამო (თბ) | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 29 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 28 |
| კოლხეთი-1913 | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 22 |
| მერანი-91 | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 18 |

**VII–XII ადგილები**

| | |
|---|---|
| დილა — იბერია | 7-1 |
| გორდა — თსუ | 4-0 |
| სიონი — დინამო (ბთ) | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 16 |
| დინამო (ბთ) | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 16 |
| გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 15 |
| დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| სიონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 12 |
| იბერია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-11 | 3 |

**გაზეთები „ლელო" და „ქართული ფეხბურთი" თანაუგრძნობენ სერგო კუტივაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს სერგო კუტივაძეს მეუღლის**
**ირინა კობერიძე-კუტივაძის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი უსამძიმრებს ვეტერან ფეხბურთელს სერგო კუტივაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.**
პანაშვიდი: 13.IV, 17 სთ. გამოსვენება 14.IV.15 სთ. მისამართი, თბილისი, ჭავჭავაძის, 75.

**გაზეთების „ლელოს" და „ქართული ფეხბურთის" რედაქციები სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს მიხეილ საბახტარაშვილს ბებიის გარდაცვალების გამო.**

# დღეს ალმასკომზე ნაკრებ გუნდებზე იმსჯელებენ...

დღეს ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება — სფფ-ს ალმასკომი ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების მუშაობის ანგარიშს მოისმენს. მდგომარეობა ისეთია, როგორც ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს, ისე ახალგაზრდული გუნდის თავკაცს მურთაზ ხურცილავას სასწრაფოდ მართებთ კარდინალური ზომების გატარება, რათა თავიანთ კოლექტივებში, პირველ რიგში მკვეთრად აამაღლონ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი: სწორედ ჟინი, თავდადება ესოდენ აკლდათ ჩვენს ფეხბურთელებს რუმინეთთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. მადლობა ღმერთს, მაგალითისთვის ჩვენს „ვარსკვლავებსა" თუ „ნახევრადვარსკვლავებს" შორს წასვლა არ დაჭირდებათ — დიდხანს არ წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან ქართველი ბორჯღალოსნების თავგანწირვა იგივე რუმინეთთან, თანაც მეტოქის მოედანზე. თურმე, ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მთავარია, საქმეს პატრიოტულად და პროფესიულად მიუდგე. ვინ უნდა იყოს ამ საქმეში წინამძღოლი? ცხადია, მწვრთნელი, ისეთივე მაღალკვალიფიციური, როგორიცაა რაგბში — სორელი. შესწევთ კი ძოძუაშვილს, ყიფიანს, ხურცილავას ძალა და უნარი ამ მისიის შესასრულებლად? აი კითხვა, რომელზეც პასუხს დღევანდელი ალმასკომის სხდომა გასცემს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ავსტრალიელები კვლავ რეკორდს ამყარებენ

ასეთ სუსტ მეტოქეს ავსტრალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები სიზმარშიაც ვერ ნახავდნენ — 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მეხუთე კონტინენტის რჩეულებმა ამერიკელ სამოასთან ორი რეკორდი დაამყარეს. ჯერ ერთი, არნახული ანგარიშით მოიგეს — 31-0, ხოლო თავდამსხმელმა არჩი ტომპსონმა 13-ჯერ (!) დაამწუხრა კუნძულელთა მეკარე. აქამდე რეკორდი ეკუთვნოდათ დანიელ ნილსენს და გერმანელ ფუხს (10-10 გოლი ერთ მატჩში).

*ოკეანეთი. I შესარჩევი ჯგუფი.* ავსტრალია — ამერიკული სამოა 31-0 (16-0), სამოა — ფიჯი 1-6 (1-3). სატურნირო მდგომარეობა: 1. ავსტრალია, ფიჯი — 6-6 ქულა, სამოა — 3, ტონგა — 3, ამერ. სამოა — 0.




## ინგლისელებმა საუკეთესო მწვრთნელი გამოავლინეს

გუშინ გამოავლინეს პრემიერ-ლიგის მარტის რჩეული მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთად მიიჩნიეს „ლიდს იუნაიტედის" თავკაცი დევიდ ო'ლირი. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ჩემპიონატში გუნდი ათი ტურია დაუმარცხებლად ასპარეზობს. გარდა ამისა, „ლიდსმა" შეინარჩუნა მშვენიერი შანსები გავიდეს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

## ტოლდო, აუცილებლად ტოლდო!




ფრანჩესკო ტოლდო რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა, ეს უკვე არაერთგზის დამტკიცდა, უკანასკნელად კი თუნდაც ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში. ამასთან, ტოლდო „ფიორენტინაში" თამაშობს, რომელსაც რაიმე სერიოზული პრეტენზიები იტალიის ჩემპიონატში არა აქვს. გაბრიელ ბატისტუტამ ხომ დატოვა კლუბი, ტოლდოც, ცხადია, მომავალი სეზონიდან ამასვე აპირებს.

მაგრამ სად გადავა ტოლდო, რომელსაც, რომ იტყვიან, მრავალი „მუშტარი" ჰყავს. „ფიორენტინამ" საინტერესო წინადადება მიიღო „ბარსელონასაგან". კატალონიელები ტოლდოში 15 მილიონ დოლარს იძლევიან, ამასთან, „დამატების სახით" მას ზენდენსა და დანისაც მიაყოლებენ.

## საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლმობიერება გამოიჩინა

**ამას წინათ „სენტ ეტიენსა" და „ტულუზას" საფეხბურთო კლუბებს ქულები ჩამოაკლეს იმის გამო, რომ მათი ფეხბურთელები საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში ყალბი პასპორტებით ასპარეზობდნენ. ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია ქვეყანაში. საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიმართვა გაუგზავნა ფეხბურთის ფედერაციას, რომელშიც რეკომენდაციას აძლევს გადაწყვეტილება შეცვალოს ქულების დაკლების შესახებ.**

## «ბატი-გოლი» ნაკრებში არ გამოიძახეს



მსოფლიო ჩემპიონატის შესარევ მატჩში ბოლივიის წინააღმდეგ არგენტინის ნაკრებში არ ითამაშებს სახელგანთქმული ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა. არგენტინელებმა უკვე გაინაღდეს მუნდიალი-2002-ის ფინალში გასვლა და ამიტომ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოსცადონ. ამჯერად ბატისტუტას ადგილს ესპანეთის „სარაგოსას" ფორვარდი ხუან ესნაიდერი დაიკავებს, რომელმაც აქამდე სამჯერ ჩაიცვა ეროვნული ნაკრების მაისური და ამდენივე გოლი გაიტანა.პიონატის შესარევ მატჩში ბოლივიის წინააღმდეგ არგენტინის ნაკრებში არ ითამაშებს სახელგანთქმული ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა. არგენტინელებმა უკვე გაინაღდეს მუნდიალი-2002-ის ფინალში გასვლა და ამიტომ ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოსცადონ. ამჯერად ბატისტუტას ადგილს ესპანეთის „სარაგოსას" ფორვარდი ხუან ესნაიდერი დაიკავებს, რომელმაც აქამდე სამჯერ ჩაიცვა ეროვნული ნაკრების მაისური და ამდენივე გოლი გაიტანა.

## გონსალესი საკუთარ თავს დიდ ფასს ადებს



ესპანეთის „ვალენსიას" ნახევარმცველი კილი გონსალესი, რომლის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენს სერია „A"-ს კლუბები „იუვენტუსი" და „ლაციო", თავის სატრანსფერო თანხად 30 მილიონი დოლარი დაასახელა.

„ბევრი თვლის, რომ მე ცალი ფეხით უკვე იტალიაში ვარ, მაგრამ ეს, ასე არ არის. საკუთარ ბედზე გადაწყვეტილებას თავად მივიღებ" — აცხადებს კილი და დასძენს: „ჩემს სამშობლოში, არგენტინაში, ადრე ყველა თვლიდა, რომ იტალიის ჩემპიონატი ყველაზე ძლიერი იყო. ახლა საუკეთესოდ ესპანეთის ჩემპიონატს მიიჩნევენ. თუ ასეა, რატომ უნდა წავიდე აქედან? მე ბედნიერი ვარ „ვალენსიაში ყოფნით. თუ ეს კლუბი 30 მილიონ დოლარს შემომთავაზებს, დავრწმუნდები, რომ აქ ჯერ კიდევ საჭირო ვარ".

აღსანიშნავია, რომ შარშან, ზაფხულში, გონსალესის შეძენა იტალიის „ფიორენტინას" სურდა, მაგრამ თანხა 24 მილიონი დოლარი, რომელიც „ვალენსიამ" მოითხოვა, მაშინ, „ფიორენტინას" ხელმძღვანელობას ეძვირა.

## „სპორტული ჟურნალისტი ვიყავი და სპორტულ ჟურნალისტად ვრჩები"

**კიევში იმყოფებოდა ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გადასცა პირველი ხარისხის ორდენი „დამსახურებისათვის".**

**როგორც ბლატერმა განაცხადა, მან უკვე 160 ქვეყანაში იმოგზაურა, მაგრამ ისეთი მშვენიერი საწვრთნელი კომპლექსი, როგორიც კიევის „დინამოს" კონჩა-ზასპეში აქვს, მას საერთოდ არ უნახავს.**

**ბლატერი წინათ სპორტული ჟურნალისტი იყო და ახლაც ასეთად თვლის თავს. მან თქვა, რომ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრია და ამაყობს კიდეც ამით.**

## „ბარსელონა" ეძებს გოლეადორს

„ბარსელონას" პრეზიდენტი ჟოან გასპარტი თვლის, რომ მის კლუბს აშკარად აკლია თავდამსხმელები (?), ამიტომ მან მწვრთნელთა შტაბს მითითება მისცა მოძებნონ ფორვარდები.

შედგენილია კანდიდატების სია. პატრიკ კლიუვერტის მხარდამხარ შეიძლება ითამაშონ მარსელო სალასმა, ერნან კრესპომ (ორივე — „ლაციო"), მარიო ჟარდელმა („გალათასარაი"), მათეა კეჟმანმა („პსვ ეინდჰოვენი"), მარკ ვიდუკამ („ლიდს იუნაიტედი"), და ჯიმი ჰასელბაინკმა („ჩელსი"). „ბარსელონას" არ აძლევს ხელს თავდამსხმელების დანისა და ალფონსოს თამაში, მაგრამ ამ კანდიდატების ხელში ჩაგდება ძალიან გაუჭირდება. სალასს არაერთხელ განუცხადებია, რომ „ლაციოს" დატოვება არ სურს. კრესპო ახლა ლუიშ ფიგუს შემდეგ მსოფლიოში ყველაზე უფრო ძვირადღირებული ფეხბურთელია, მარიო ჟარდელი აპირებს პორტუგალიაში დაბრუნებას, აქვს კიდეც წინასწარი მოლაპარაკება „ბენფიკასთან", ხოლო 21 წლის კეჟმანზე მისი ჰოლანდიურ კლუბი დიდ იმედებს ამყარებს. რჩება ვიდუკა, რომელიც ძალიან მოსწონს „ბარსელონას" მთავარ მწვრთნელ ლორენსო სერა ფერერს, და ჰასელბაინკი.

## ყაზახეთი: თხა თხაზე ნაკლებიო

**ყაზახეთის ნაკრებს ფეხბურთში (მთავარი მწვრთნელი ვაჰიდ მასუდოვი) მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის ერთგვარი პერსპექტივები გაუჩნდა. დასაწყისში ამისათვის საჭიროა წამატებით თამაში მეექვსე აზიურ ჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები არიან ერაყის, მაკაოსა და ნეპალის ნაკრებები და შემდგომ ეტაპზე გასვლა. აქ. ძირითადი მეტოქე, ცხადია, ერაყია.**

**ორი მოთამაშე ყაზახებმა უკვე გადაიბირეს და თავიანთი მოქალაქეობა მიაღებინეს. ესენია რუსეთის უმაღლეს ლიგაში ადრე ნათამაშევი იგორ კორნიენკო და იური აქსიონოვი, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ქვეყნის ჩემპიონ „ჟენისში" თამაშობდნენ. ახლა ყაზახებს იმედი აქვთ, რომ მათი ქვეყნის მოქალაქეობას მალე გაუფორმებენ ბრაზილიელ თავდამსხმელ ნილტონ მენდესს, რომელიც უკვე ორი წელია პავლოდარის „ირტიშში" გამოდის. შარშან, ჟურნალისტების ვერსიით, მენდესი ყაზახეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამას წინათ აზიის ქვეყნების ჩემპიონების თასის მატჩში „ირტიშმა" მოუგო საუდის არაბეთის კლუბ „ალ-იტიხადს" — 2-1. ორივე გოლი სწორედ ნილტონ მენდესმა გაიტანა.**



## ტრაგედია იოჰანესბურგში...

### ფიფა გამოძიებას იწყებს...

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დიდი ტრაგედია დატრიალდა — იოჰანესბურგის ცენტრალურ სტადიონზე ხალხის ჭყლეტაში 50 ადამიანი დაიღუპა. ეს მოხდა ქვეყნის ორი რჩეული კლუბის „კაიზერ ჩივსის" და „ორლანდო პირეიტსის" მატჩის დროს. წინასწარი გამოძიებით ირკვევა, რომ სტადიონზე ზედმეტი ბილეთები გაყიდეს. უადგილოდ დარჩენილი გულშემატკივრები მავთულბადეში გაეხვივნენ და სასიკვდილო ჭრილობები მიიღეს.**

**გარდა სამართალდამცავი ორგანოებისა, მომხდარის გამოძიება ფიფამაც დაიწყო.**

ჩვენ არ ვყიდით თამბაქოს მოზარდებზე
18
მომავალი შენია

## არ მოსწიო — მომავალი შენია!

ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში 15-17 წლის ახალგაზრდებში მწეველთა რიცხვი 33 %-ს შეადგენს, ხოლო 12-14 წლის მოზარდებში — 16 პროცენტს. ეს ევროპაში საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად ითვლება და შეშფოთების საბაბს იძლევა, თანაც რესპოდენტ აბსოლიტურმა უმრავლესობამ (90 %) თამბაქოს მოწევა ნეგატიურად შეაფასა. ე.ი. ისინი მწეველობას სერიოზულ პრობლემად არ თვლიან.

მოძრაობამ არასრულწლოვანთა მწეველობის აღმოფხვრისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის - „მომავალი შენია" სერიოზული ნაბიჯები გადადგა საქართველოში თამბაქოს წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისი საქმიანობა მოძრაობამ დაიწყო კონკრეტული ნაბიჯებით: 1) ფართომასშტაბიანი პროგრამა — „ჩვენ არ ვყიდით თამბაქოს მოზარდებზე", რომლის ფარგლებშიც ქვეყნის 13 ქალაქში თამბაქოთი მოვაჭრე ობიექტებში განთავსდა სპეციალური საინფორმაციო მასალა. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ეს სავაჭრო ობიექტები არ ყიდიან თამბაქოს ნაწარმს 18 წლამდე ასაკის მოზარდებზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა თამბაქოთი მოვაჭრეთა მხარდაჭერით; 2) სოციალური რეკლამის კამპანია თბილისისა და რუსთავის ცენტრალურ ქუჩებში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე.

მოდით ისევ სტატისტიკას დავუბრუნდეთ: მოზარდთა ნახევარი სახლისა და სკოლის გარეთ ეწევა, 25 % კი — სახლში. ყოველი მესამე მწეველი მოზარდის მშობელმა იცის ამის შესახებ. თუმცა, ტენდენცია სანუგეშო არ არის და საბოლოო ჯამში ჯანმრთელობის გაუარესებასთან მივყავართ.

არასრულწლოვანთა მწეველობის საწინააღმდეგო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №391 ბრძანებულებას, რომელიც გვაუწყებს:

„აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის 18 წლამდე მოქალაქეებზე მიყიდვა".

„ლელო" ქართული სპორტის ქომაგია და მოძრაობის — „მომავალი შენიას" იდეებს აბსოლუტურად იზიარებს. თანაც, როგორც შევიტყვეთ, თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის გარდა ზემოთ აღნიშნული მოძრაობის წევრებს მოზარდთა სპორტითა და ფეხბურთით დასაქმებაში საკუთარი წვლილის შეტანა გადაუწყვეტია და უახლოეს ხანში სერიოზულ აქციებს გეგმავენ სპორტული მოედნების აღდგენა-აშენებისთვის.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

## საქართველო - ორი საფეხურით უკან!

**ტრადიციისამებრ, ყოველი თვის 11 რიცხვში ქვეყნდება ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგი. მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებად კვლავ რჩება ბრაზილია, რომელმაც 807 ქულა დააგროვა. შემდეგ მოდიან: 2. საფრანგეთი — 792, 3. არგენტინა — 770, 4. იტალია — 750, 5. პორტუგალია — 735, 6. ჩეხეთი — 732, 7. ესპანეთი — 725, 8. გერმანია — 714, 9. პარაგვაი — 713, 10. ჰოლანდია — 714.**

**რუმინეთთან მარცხმა საქართველოს ნაკრები ორი საფეხურით ჩამოაქვეითა — ახლა ჩვენ მსოფლიოში 68-ე ადგილზე ვართ.**

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

# მდგომარეობა ახლართულ-ჩახლართულია, პრეტენდენტი კი შესაძლოა, ექვსი

**გერმანიის პირველობის ტურების მიმდინარეობას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ლიდერსა და შარშანდელ ჩემპიონს, მიუნხენის „ბაიერნს" მდევრებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, ახლა კი XXVIII ტურის შემდეგ ამაზე ლაპარაკიც კი ძნელია: მიუნხენელები სამ უახლოეს მდევარს მხოლოდ თითო ქულით უსწრებენ, კიდევ ორს – სულ სამით. ეს კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ჩემპიონობის ბედი სრულიად ბუნდოვანია მაშინ, როცა შეჯიბრების დამთავრებამდე სულ 6 ტურიღა დარჩა. მეტნაკლები ლოგიკურობით, შეიძლება პირველი ადგილის 6 (!) პრეტენდენტის დასახელება, რაც გერმანიის ჩემპიონატისათვის სრულიად უჩვეულო რამ გახლავთ.**

მაშინაც კი, როცა „ბაიერნმა" XXVI ტურში მოუგო თანაქალაქელებს, „მიუნხენ 1860"-ს ბრაზილიელების ჯოვანე ელბერისა და პაულო სერჯიოს გოლების წყალობით (2-0) და უკვე სამი ქულით გაასწრო მეორე ადგილზე მყოფ „ბაიერს" (ლევერკუზენი), გერმანელი მიმომხილველები აღნიშნავდნენ ლიდერის უსახურ თამაშს. ერთ რამეს კი არ უკარგავდნენ: მას შეუძლია გამოიყენოს მაქსიმუმი – საგოლე შესაძლებლობების მინიმუმიდან. ადრე ეს „ბაიერნს" ნაკლებად ეტყობოდა, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო შესამჩნევია, რომ წამყვანი მოთამაშეები აშკარად იზოგავენ ძალებს ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩებისათვის, ამ შეჯიბრებაში კი გერმანელებს სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხების შემდეგ მართლაც რომ საუკეთესო შესაძლებლობები შეექმნათ.

XXVII ტურში „ბაიერნმა" შინ საკმაოდ მოულოდნელად წააგო ბრემენის „ვერდერთან" – 2-3. ამას მოჰყვა ფრე 1-1 დორტმუნდში ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტ „ბორუსიასთან" შეხვედრაში. ამრიგად, „ბაიერნმა" 50 ქულა მოაგროვა და შეიძლება ახლა თამამად ითქვას, ჩემპიონობისათვის ბრძოლა თავიდან იწყება.

ახლა 49-49 ქულა აქვთ გელზენკირხენის „შალკე 04"-ს, ლევერკუზენის „ბაიერსა" და დორტმუნდის „ბორუსიას". რა შეიძლება ითქვას ამ პრეტენდენტების შესახებ?

„შალკესა" და „ბორუსიასათვის" პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მათ უშუალო შეხვედრას გელზენკირხენის „პარკშტადიონზე". ამ მატჩამდე „შალკემ" წლევანდელ სეზონში ორჯერ სძლია მეტოქეს (პირველ წრეში 4-0 და შემდეგ მას თასის გათამაშებაც დაატოვებინა), ამჯერად კი ვერ დაამარცხა: 0-0. შედეგი არ მოიტანა ბუნდესლიგის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის, ჩეხ ტომაშ როსიცკის დაპირისპირებამ განთქმულ ენდი მიოლერთან, რომელმაც ცოტა ხნის წინათ დასტოვა „ბორუსია". საინტერესოა „ბორუსიის" მწვრთნელ მათიას ზამერის აზრი გუნდში შექმნილი სიტუაციის შესახებ: „ჩემი ფეხბურთელები კარგად მხოლოდ მაშინ თამაშობენ, როცა პრესინგს განიცდიან მწვრთნელის, ჟურნალისტების ან გულშემატკივართა მხრიდან. ახლა მე მინდორზე უკვე არც ერთ მოთამაშეს აღარ გამოვიყვან, ვისაც თვალები ანთებული არა აქვს და თამაშის ნამდვილი წყურვილი". ისე კი, „ბორუსიის" შემადგენლობა მეტად ძლიერია (მეკარე ლემანი, მცველები ვიორნსი, ოლისე, კოლერი, შუა ხაზზე – ჰაინრიხი, როსიცკი და რიკენი, ცნობილი თავდამსხმელი ბობიჩი და სხვები). ამ მხრივ, არც „შალკეს" აქვს უარესად საქმე (მეკარე რეკი, იგივე ანდი მიოლერი ჩინებული სნაიპერები ე. მპენზა, დანიელი სანდი და სხვები), ისე რომ, ჰუუბ სტევენსაც (თუმცა იგი ცხოვრებას უჩივის) აქვს გარკვეული იმედები. ბერტი ფოგთსის „ბაიერი" ხან ბრწყინვალედ თამაშობს, ხან ჩავარდნები აქვს (სამი წაგება ზედიზედ!), გუნდს დაეტყო ცნობილი ლიბეროს იენს ნოვოტნის ხანგრძლივი ტრავმა, ისიც, რომ დისკვალიფიცირებული იყო დიდად შედეგიანი ვეტერანი ულფ კირსტენი. მიმომხილველები თვლიან, რომ „ფარმაცევტთა" კლუბის უდავოდ კარგი შენაძენია 22 წლის ბრაზილიელი ლუსიო. იგი თავისი ეროვნული ნაკრების წევრია, „ბაიერში" არა მარტო შეცვალა ლიბეროს პოსტზე ნოვოტნი, არამედ სისტემატურად მიდიოდა წინ და 6 მატჩში 3 გოლიც გაიტანა.


ებე სანდი (მარჯვნივ) და იურგენ კოლერის ორთაბრძოლა

ის, რომ ამ ოთხეულს სხვადასხვა მიზეზების გამო გარკვეული ჩავარდნები ჰქონდა, ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა ბერლინის „ჰერტასა" და „კაიზერსლაუტერნისათვის". ახლა მათ 46-46 ქულა აქვთ და ვინ იცის...

მაშ ასე, 6 პრეტენდენტი ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე არნახული დაძაბულობა!

ახლა კი გადავხედოთ ამ ექვსეულის პერსპექტივებს, მეტნაკლებად განსხვავებულ შესაძლებლობებს.

14 აპრილს XXIX ტურში, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა. „ბაიერნი" „ოლიმპიაშტადიონზე" მიიღებს გელზენკირხენის „შალკე 04"-ს. ერთი სიტყვით, ლიდერი ეთამაშება მეორე ადგილზე მყოფს, რომელიც მას სულ ერთი ქულით ჩამორჩება. ზედმეტია ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. აქ მიუნხენელებს ისიც კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სულ სამი დღის შემდეგ მოელით უაღრესად პრინციპული მატჩი ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან", ინგლისელები კი, თუმცა შინ დამარცხდნენ, მაგრამ სულაც არ არიან უიმედონი! ერთი სიტყვით, ოტმარ ჰიტცფელდმა უნდა შეძლოს თავისი მაქსიმუმის დემონსტრირება. სულ მცირე შესვენების შემდეგ, 21 აპრილს „ბაიერნს" მოელის XXX ტურის შეხვედრა მაინის ფრანკფურტში „აინტრაჰტთან", რომელიც იბრძვის ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. გაძლებაც, თუ გნებავთ, ამას ჰქვია.

მიუნხენის მატჩის შემდეგ არც „შალკეს" ექნება ოდნავი შესვენება. იგი ბერლინის „ჰერტას" მიიღებს – კიდევ ერთ პრეტენდენტს! დორტმუნდის „ბორუსია" ჯერ ბერლინში მეტად საპასუხისმგებლო მატჩს ატარებს „ჰერტასთან", შემდეგ კი შინ შეხვდება ბოლო ადგილზე მყოფ „ბოხუმს", რომელიც ჯერაც არა ჰყრის ფარხმალს. ამას ამტკიცებს თუნდაც მისი გამარჯვება ბოლო ტურში, თანაც სტუმრად „მიუნხენ 1860"-თან – 4-2, ახლა „ბაიერ 04"-ის შესაძლებლობებს შევეხოთ. იგი 14 აპრილს „ფრაიბურგს" მიიღებს, 21 აპრილს კი ასევე შინ ითამაშებს „ჰამბურგერ შპორტფერაინთან", რომელიც საკმაოდ ახლოსაა სახიფათო ზონასთან. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ „ჰერტას" ორ უმნიშვნელოვანეს მატჩზე („ბორუსიასა" და „შალკესთან"), ხოლო „კაიზერსლაუტერნი" ამ ორ ტურში ეთამაშება ჯერ „აინტრაჰტს", შემდეგ კი „ფრაიბურგს".

რაც შეეხება „კიოლნსა და „ფრაიბურგს", მათი სატურნირო მდგომარეობა, რომ იტყვიან, დამაკმაყოფილებელია და კლუბების შესაძლებლობას შეესაბამება კიდეც. არჩილ არველაძის „კიოლნი" 41 ქულით ახლა მერვეა, „ქართული" „ფრაიბურგი" კი 40 ქულით მეათე. ერთი სიტყვით, მათ არც დიდი პრეტენზიები აქვთ და არც რაიმე დიდი საფრთხე ემუქრებათ, იმ მცირერიცხოვან კლუბებს შორის არიან, ვისაც შეუძლია ეს არნახულად მწვავე სეზონი წყნარად დაამთავროს.

ბიჟი გამრეკელი


„კიოლნი" – „ფრაიბურგი"

## ასზე მეტ საერთაშორისო მატჩში სულ 2 ყვითელი მიიღო

**ესპანეთში არ ეთანხმებიან უეფას გადაწყვეტილებას ხელით ბურთის გატანის გამო რაულის დასჯის შესახებ. „რა შუაშია აქ ფეირ-პლეი, – აცხადებს „რეალის" მცველი მიჩელ სალგადო, – რაული არც უხეშად მოქცეულა და არც ვინმესთვის ძალა დაუტანებია. დიახ, იეშმაკა, მეც მის ადგილას ასე მოვიქცეოდი.. რა რაულის ბრალია, რომ მსაჯმა ვერაფერი დაინახა".**

**როგორც „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რაულს ესპანეთში იდეალური სპორტსმენის სახელი ჰქონდა, ასზე მეტ საერთაშორისო მატჩში სულ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მისი რეპუტაცია არ უნდა შეილახოს.**

## უნგრეთშიც გამოჩნდა ტალანტი

თავის დროზე მსოფლიოში უძლიერესი (თუ ერთ-ერთი უძლიერესი) უნგრელი ფეხბურთელების ავტორიტეტი დღეს, ცხადია, შეუდარებლად უფრო დაბალია. მათი ნაკრების შემადგენლობას თუ გადავავლებთ თვალს, ამ ფეხბურთელებიდან ევროპის წამყვან კლუბებში თითქმის არავინ თამაშობს.

და მაინც მიმომხილველები აქებენ უნგრეთის ნაკრების ერთ ახალ ფეხბურთელს – ვასილ მირიუცეს, რომელიც ეროვნებით ბოშაა. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ცნობილი თავდამსხმელი იანოშ ფარკაშიც ბოშა იყო.

## არა. სალვა არ იყიდება

**მადრიდის „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ უარი უთხრა „რომას" მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს, რომელსაც თავდამსხმელ სალვადორ ბალიესტას (სალვას) ყიდვა უნდოდა. სალვამ პოპულარობა შარშანდელ სეზონში მოიპოვა, როცა იგი სანტანდერის „რასინგის" შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა.**

**უშედეგოდ დამთავრდა კაპელოს პირადი მიმართვაც სალვასადმი, რომლის გადაბირება „დეპორტივოსა" და „ბარსელონასაც" სურთ**

## რა იყო: ფულის გადაყრა თუ დიდი შენაძენი?

**როცა დორტმუნდის „ბორუსიამ" 20 წლის ჩეხ ტომაშ როსიცკიში 25 მილიონი მარკა გადაიხადა, ამან არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. რა იყო ეს: ფულის გადაყრა თუ დიდი შენაძენი? ამას პასუხი საკმაოდ მალე გაეცემა. ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელს ესაუბრება ჟურნალ „კიკერის" კორესპონდენტი კარლ-ჰაინც ვილდი.**

● ***ჰერ როსიცკი, როგორ მოხდა, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში" აღმოჩნდით და არა მიუნხენის „ბაიერნში"?***

— აქ ორმა ფაქტორმა შეასრულა გადამწყვეტი როლი: დორტმუნდელებს დაუყოვნებლივ უნდოდათ ჩემი მიწვევა, „ბაიერნი" და „ლივერპული" კი ჩემთან კონტრაქტის გაფორმებას 1 ივლისიდან აპირებდნენ. მეორე მხრივ, „ბორუსიას", როგორც დავასკვენი, სწორედ ჩემი ყაიდის ფეხბურთელი ესაჭიროებოდა.

● ***დიახ, მაგრამ მიუნხენიდან მიღებული ცნობით, სულ მოკლე ხანში აპირებდით „ბაიერნის" მაისურის ჩაცმას.***

— „ბაიერნმა" ვერ მოახერხა პრაღის „სპარტასთან" მოლაპარაკება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერც მე მომელაპარაკა. არ შემეძლო თვითი მიმეღო რაიმე გადაწყვეტილება და სიტუაციაზე მემოქმედა, რადგან „სპარტასთან" კონტრაქტი 2002 წლამდე ვრცელდებოდა. ამასთან, „სპარტამ" ერთხელ კიდევ გაზარდა ჩემი სატრანსფერო ფასი. აღარაფერი დამრჩა, იმის გარდა, რომ ორი კლუბის მოლაპარაკებისათვის მედევნებინა თვალი.

● ***რამ გაიძულათ კლუბი შუა სეზონში გამოგეცვალათ?***

— მე და ჩემი აგენტი „სპარტის" მესვეურების მხრიდან დიდ ზეწოლას განვიცდიდით. მინდოდა, ასე იქნებოდა თუ ისე, საქმე გადაწყვეტილიყო.

● ***„სპარტას" მაინცდამაინც ასე სწრაფად უნდოდა თქვენი გაყიდვა?***

— დიახ.

● ***რატომ? ასე სჭირდებოდა ფული?***

— დიახ, სჭირდებოდა. შემდეგ, ძალიან ეშინოდათ, რომ არ დავშავებულიყავი. მაშინ ასეთ ფასად ვერ გამყიდიდნენ. გარდა ამისა, ელოდნენ ევროპულ სატრანსფერო რეფორმას, რომელსაც შეეძლო ფეხბურთელების გადასვლაზე საკომპენსაციო თანხები საერთოდ გაეუქმებინა, ასე რომ, ჩქარობდნენ.

● ***კმაყოფილი ხართ, რომ კლუბი გამოიცვალეთ, თუ მაინც ნეგატიური ემოციები უფრო მძლავრობს?***

— მას შემდეგ, რაც „ბორუსიასთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე, მეტად კმაყოფილი ვარ, რომ ახალი ამოცანების წინაშე დავდექი.

● ***რას უნდა ელოდნენ დორტმუნდელები და საერთოდ, გერმანელი გულშემატკივრები?***

— ტექნიკურ ფეხბურთელად ვთვლები, იმედი მაქვს ჩემი თამაშით მაყურებელს სიხარულს მოვუტან. თავს მშვენივრად ვგრძნობ, პატივს ვცემ გერმანელ ფეხბურთელებს, „ბორუსიას" კი ფანტასტიკური გულშემატკივრები ჰყავს.

● ***ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა. მაგრამ ამასთან, ხომ არა გაქვთ შიშის გრძნობა, რომ თქვენი თამაშის დონე არ შეესაბამება ტრანსფერის თანხას? თქვენ ხომ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ხართ ბუნდესლიგის არსებობის მთელი 38 წლის ისტორიის მანძილზე. არსად არავის გადაუხდია ფეხბურთელში 25 მილიონი მარკა.***

— გულახდილად გეტყვით, პირდაპირ გულს მეყრება, როდესაც მესმის, თუ რამდენი ვღირვარ.

● ***არ გეშინიათ, რომ ფსიქოლოგიურ პრესს ვერ გაუძლებთ?***

— შიშით კი არ მეშინია, მაგრამ მესმის, რომ ჯერ საჭიროა ახალ ადგილზე დამკვიდრება. ამისათვის კი ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო. უფრო კარგად რომ მეგრძნო თავი, დორტმუნდში მშობლებიც ჩამოვიყვანე.

● ***იცნობდით დორტმუნდელ მოთამაშეებს, როცა გერმანიაში ჩამოხვედით?***

— ახლოს არა, მაგრამ ბევრი რამ ვიცოდი მწვრთნელ მათიას ზამერისა და ყველა მოთამაშის შესახებაც.

● ***ყველას შესახებ?***

— დიახ, კოლერის, ოლისეს, სიორენსენის, რიკენის, ჰერლიხის შესახებ.

● ***საკმარისად ჩამოთვალეთ. თქვენ გერგოთ მაისური 10 ნომრით. ითვლება, რომ ეს ნომერი ბევრს ნიშნავს.***

— 7 ნომრის მიღება მინდოდა, იმიტომ, რომ ასე ვთამაშობდი მთელი ჩემი სიჭაბუკე. ისე კი, „სპარტაში" 25 ნომრით გამოვდიოდი. დორტმუნდში „10" მომცეს. უარს ხომ არ ვეტყოდი?

● ***ეს დამატებით ვალდებულებებს ხომ არ გაძლევთ. პლეიმეიკერობა ძნელია.***

— პატივს ვცემ კლუბის გადაწყვეტილებას, მაგრამ მთავარი ხომ მაისურის ნომერი არ არის, არამედ ის, რაც მინდორზე ხდება.

● ***რა ხდება მინდორზე? რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ თამაში?***

— მოიერიშე ნახევარმცველი ვარ.

● ***შეძლებთ ლარს რიკენთან ერთად თამაშს? იგი ხომ ყველაზე ხშირად სწორედ ამავე ამპლუაშია.***

— ამ კითხვაზე უფრო მწვრთნელი უპასუხებს. მე კი იმას გეტყვით, რომ „სპარტაში" ჩემს მხარდამხარ ჩემივე ამპლუის კიდევ ერთი ფეხბურთელი მოქმედებდა.

● ***დიახ, მაგრამ „ბორუსია" ხომ ერთი მოიერიშე ნახევარმცველითა და სამი თავდამსხმელით თამაშობს. მოერგებით ასეთ სქემას?***

— ესეც, ჩემი კი არა, მწვრთნელის პრობლემა გახლავთ. ისე ვითამაშებ, როგორც მას სურს.

● ***რატომ ამჯობინეთ ბუნდესლიგაში თამაში, ვთქვათ, ინგლისს ან იტალიას?***

— ჯერ ახალგაზრდა ვარ და არ მინდოდა სამშობლოდან შორს გავმგზავრებულიყავი. გერმანული ცხოვრების წესი ძალიან ახლოა ჩეხეთთან. მომწონს გერმანელების წესრიგი, მათი ორგანიზებულობა და დისციპლინა.

● ***რა მიზნებს ისახავთ „ბორუსიაში"?***

— ჩემი მიზანია ჯანმრთელობა შევინარჩუნო და რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო.

● ***ითამაშოთ და გაიმარჯვოთ?***

— „სპარტაში" მხოლოდ ჩემპიონობისათვის ვიბრძოდი. მინდა „ბორუსიას" შემადგენლობაშიც ჩემპიონი გავხდე.

● ***არის თუ არა ფეხბურთელი, რომლის მიბაძვა გსურთ?***

— ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში მომიხდა ზიდანის წინააღმდეგ თამაში. შესანიშნავი ფეხბურთელია, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მომწონს მისი თამაშის მანერა.

● ***„ბორუსიასთან" კონტრაქტს 2006 წლის 30 ივნისამდე მოაწერეთ ხელი. ეს ასეა, მაგრამ სხვა დიდ კლუბებსაც სურთ თქვენი შეძენა. ამასთან დაკავშირებით გეკითხებით, როდემდე აპირებთ „ბორუსიაში" დარჩენას?***

— კონტრაქტის დასრულებამდე.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# ზოგი „რეალ მადრიდს“ „რაულ მადრიდს“ ეძახის

**რაულ გონსალეს ბლანკო 23 წლისაა, მაგრამ უკვე კარგა ხანია მოიპოვა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის რეპუტაცია. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელს ესაუბრება გერმანულ ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტი კარლჰაინც ვილდი.**



რაული

● ***სენიორ რაულ, 23 წლის ასაკში თქვენ მოიგეთ პრაქტიკულად ყველაფერი, რისი მოგებაც შეუძლია ფეხბურთელს თავის კლუბში. ხომ არა გაქვთ იმის გრძნობა, რომ რაღაცა ვერ გააკეთეთ, რაღაც სპორტული მიზანი ახლაც შესასრულებელი დაგრჩათ?***

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ჯერჯერობით ეროვნულ ნაკრებში საერთოდ ვერაფერს მივაღწიე. ყველა სხვა წამყვანი საფეხბურთო ერისაგან განსხვავებით, ესპანელებს ნაკრებების დონეზე რაიმე საყურადღებო მიღწევა არა ჰქონიათ.

● ***დიახ, მაგრამ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის წინ ესპანელებს ფავორიტთა შორის თვლიდნენ. რა მოხდა, რა აკლდათ?***

— ახლა რა აზრი აქვს მაგის გახსენებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოსა და ევროპის უახლოეს ჩემპიონატებში ესპანელები უკეთესად ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შევეცდებით ყველაზე მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას.

● ***ბევრ ესპანურ კლუბში განსაკუთრებით კი უძლიერესებში, როგორიც არიან, ვთქვათ, „რეალი“ და „ბარსელონა“, წამყვან როლს უცხოელები ასრულებენ. ხომ არ მოქმედებს ეს ნეგატიურად ნაკრების გამოსვლებზე?***

— სავსებით შესაძლებელია. მეორე მხრივ კი, მე ვთვლი, რომ უნდა ითამაშოს იმან, ვინც უკეთესია და არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნიდანაა იგი. თუკი კლუბი რომელიმე, კიდევ ერთ უცხოელს შეიძენს, ამით იგი უარესად ხომ არ დაიწყებს თამაშს, არაფერი დააკლდება. რაც შეეხება ისეთ ვარსკვლავებს, როგორნიც არიან ფიგუ, რივალდო, აიმარი ან პალერმო, მათ ძალიან ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ ესპანეთის პირველ დივიზიონს მსოფლიოში უძლიერესის სახელი ჰქონდეს.

● ***იგი მართლაც უძლიერესია მსოფლიოში?***

— ამას მე კატეგორიულად როდი ვამტკიცებ. რაც არ უნდა იყოს, ევროპაში რამდენიმე ძალიან ძლიერი ჩემპიონატია.

● ***რომლებს გულისხმობთ?***

— ესპანეთის გარდა, იტალიის, ინგლისის, გერმანიის ჩემპიონატებს.

● ***თქვენ ისინი ძალის მიხედვით განალაგეთ თუ ისე, ნებისმიერად?***

— როგორც მინიმუმი, ესპანეთის ჩემპიონატი იტალიურზე უფრო მაღლა უნდა იდგეს.

● ***რა პოზიციას მიაკუთვნებთ ბუნდესლიგას?***

— გერმანიის ჩემპიონატის ძალაზე მეტყველებენ „ბაიერნისა“ და „რეალის“ შარშანდელი შეხვედრების შედეგები ჩემპიონთა ლიგაში (ოთხი შეხვედრიდან თასის მომავალმა მფლობელმა „რეალმა“ წააგო სამი).

● ***ვინ გაუწევს წელს „რეალს“ კონკურენციას ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლაში?***

— „მანჩესტერ იუნაიტედი“ ან „ბაიერნი“.

● ***თქვენი აზრი ახლანდელ „ბაიერნზე“?***

— მე ასე ვიტყოდი: ეს არის კლუბი, რომელსაც ძლიერი ღერძი აქვს და შეუძლია მატჩებისათვის მშვენივრად მომზადება. გარდა ამისა, იქ ხომ შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ.

● ***მაგალითად, ვინ?***

— მე ყველაზე მეტად მეჰმეტ შოლი მომწონს.

● ***სწორედ ეს მეჰმეტ შოლი თვლის, რომ განსხვავება მასა და თქვენს შორის, გნებავთ მასა და ფიგუს შორის, ისაა, რომ თქვენ სისტემატურად თამაშობთ უმაღლეს დონეზე და გოლიც მეტი გაგაქვთ. როგორ ფიქრობთ, 23 წლის ასაკში უკვე მიაღწიეთ თქვენი კარიერის მწვერვალს?***

— არავითარ შემთხვევაში. მე თითოეულ ახალ მატჩში ვცდილობ ვითამაშო უკეთ, ვიდრე წინანდელში. სწორედ ამაშია ჩემი პროფესიის აზრი. მე კიდევ უკეთ ვითამაშებ.

● ***რეზერვები გაქვთ?***

— მე უკეთ უნდა დავიწყო დარტყმა მარჯვენა ფეხით. გარდა ამისა, მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის სათანადო გამოცდილება არა მაქვს. არა უშავს, ამის მიღწევა შეიძლება. გარდა ამისა, ვიმედოვნებ, რომ თანდათანობით უკეთ ალვიქვამ თამაშს.

● ***მაინც, როდის ითამაშებთ ყველაზე უკეთ?***

— როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფეხბურთელის ტალანტი 25-26 წლის ასაკში იფურჩქნება. ამ პერიოდში მთავრდება ადამიანის ორგანიზმის ფორმირება. ვფიქრობ, სწორედ მაშინ მივაღწევ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო.

● ***როგორ მოხდა, რომ თქვენ, მსოფლიოში უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, კიდევ აპირებთ უკეთესის მოლოდინში ამყოფოთ თქვენი გულშემატკივრები?***

— ყველაფერი მარტივადაა: მე რეალურად მაქვს წარმოდგენილი, რომ კიდევ უკეთესად შემიძლია თამაში, ვფიქრობ, ჩემი უკეთესი წლები ჯერ კიდევ წინაა. თუკი ზუსტი ვადა გაინტერესებთ, ეს 3-5 წლის შემდეგ მოხდება. ე.ი. როცა 26-28 წლისა ვიქნები.

● ***დარწმუნებული ხართ, რომ ამ დროისთვის ფეხბურთი არ მოგყირჭდებათ და სათანადო მოტივაციასაც შეინარჩუნებთ?***

— გასაგებია, დიდ გამარჯვებას დიდი მოტივაციაც სჭირდება. მე კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე, მაგრამ შემიძლია ახალი მიზნების დასახვაც.

● ***უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყოდით?***

— კარიერის დასასრულისათვის მინდა რაც შეიძლება მაღალი ადგილი მეჭიროს ესპანელი სნაიპერების ისტორიულ კლასიფიკაციაში.

● ***რა ნორმის შესრულება დაისახეთ ამ სეზონში?***

— იმედი მაქვს, რომ 20 გოლს მაინც გავიტან.

● ***გერმანიაში ახლა გაცხოველებით განიხილავენ პროფესიონალი ფეხბურთელების საშუალოდ დატვირთვის საკითხს. 1999-2000 წლების სეზონში წამყვანი ფეხბურთელები 65 ოფიციალურ და 14 ამხანაგურ მატჩს ატარებდნენ. როგორ ფიქრობთ, ეს ბევრია?***

— დიახ, 70-75 თამაში — ეს უკვე ბევრია.

● ***იდეალური რაოდენობა?***

— დაახლოებით 60.

● ***სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული, თქვენ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელ ლუიშ ფიგუს მხარდამხარ თამაშობთ. ეს გარემოება გოლების გატანაში გეხმარებათ, თუ პირიქით, ხელს გიშლით?***

— მოგეხსენებათ, რომ ფიგუ „ოქროს ბურთის“ მფლობელია. მისმა ჩვენთან გადმოსვლამ „რეალს“ საგრძნობი სარგებლობა მოუტანა. ეს თითოეულ მოთამაშეს ეხება, და, რა თქმა უნდა, მეც. ფიგუ სუპერკლასის მოთამაშეა.

● ***თქვენ თვლით, რომ მან უკვე გააკეთა იმდენი, რაც 56 მილიონ დოლარის შესატყვისია. ეს ხომ ის თანხაა, რამდენიც „რეალმა“ „ბარსელონას“ გადაუხადა.***

— არა აქვს ახლა აზრი მისი ტრანსფერის ოდენობის განხილვას. ფეხბურთში ახლა დიდი ფული ტრიალებს. ჩვენ კიდევაც რომ ვთქვათ, რომ ამას არასწორად აკეთებენ, სიტუაცია ოდნავაც არ შეიცვლება.

● ***და მაინც, როგორ ფიქრობთ, ღირდა ფიგუში ასეთი თანხის გადახდა?***

— ფიგუ მეტიც კი ღირს.

● ***რას ბრძანებთ!***

— „რეალში“ უკვე დიდი ხანია აღარ ყოფილა ასეთი დიდებული მოთამაშე. მისი მოსვლის შემდეგ „რეალი“ სხვაგვარი სტილით თამაშობს, მე ვიტყოდი, უფრო სადა სტილით. ეს ის სისადავეა, რომელსაც გენიალური უნდა ვუწოდოთ.

● ***ხომ არა გაქვთ ფიგუს მიმართ შურის გრძნობა, ან თქვენს რომელიმე პარტნიორს?***

— ჩვენ ძალიან კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. მეტსაც გეტყვით, მეგობრებიც კი გავხდით. დიდ დროს ვატარებთ ერთმანეთთან.

● ***და მაინც, რას აკეთებთ?***

— სხვადასხვა რამეს. ჩვენი შვილები ტოლები არიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია საოჯახო პირობებში დავისვენოთ. ზოგ რამეზე მოყოლა აღარც კი ღირს. ამისათვის საჭიროა სათანადო ურთიერთგაგება. მე და ფიგუ კი სავსებით ვუგებთ ერთმანეთს.

● ***ის, რომ ფიგუ გაცილებით მაღალ ხელფასს იღებს, ვიდრე „რეალის“ დანარჩენი მოთამაშეები, ესეც არა ქმნის პრობლემას?***

— მე პირადად მაქვს კონტრაქტი, რომელიც სავსებით მაძლევს ხელს. საერთოდ კი, ნაკლებად მაინტერესებს, ვინ იღებს ჩემზე მეტს და ვინ — ნაკლებს. ის კი ვიცი, რომ ვაკეთებ იმდენს, რამდენსაც „რეალი“ მიხდის. ამას რომ არ ვაკეთებდე, არც არავინ გადამიხდიდა.

● ***როცა თქვენი კონტრაქტი დასრულდება, „რეალში“ გააგრძელებთ კარიერას, მის ლიდერად დარჩებით?***

— მე ამ კლუბისადმი განსაკუთრებული გრძნობები მაქვს, იმიტომ, რომ „რეალმა“ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მე არა ვთვლი, რომ კლუბში №1 მოთამაშე ვარ, ჩვენ სხვა ჩინებული ფეხბურთელებიც გვყავს, რომელთა წვლილი გუნდის წარმატების საქმეში სულაც არ არის ჩემზე ნაკლები.

● ***შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ რომელიმე სხვა გუნდში დაიწყებთ თამაშს? გეყოფათ გაბედულება ისეთი ნაბიჯისათვის, რომელიც გადადგა ფიგუმ, როცა „ბარსელონადან“ „რეალში“ გადმოვიდა?***

— არა, არასოდეს. ესპანეთში „რეალის“ გარდა, არც ერთ სხვა კლუბში არ ვითამაშებ. ალბათ, სწორედ ამ კლუბში დავასრულებ ჩემს კარიერას.

● ***ეტყობა. არსებობს რაიმე სხვა ვარიანტი?***

— თუკი „რეალს“ აღარ დავჭირდები, საზღვარგარეთ წავალ. აი, ეს კი შეიძლება მოხდეს.

● ***თქვენი ახლანდელი კონტრაქტი მთავრდება...***

— ...2005 წელს.

● ***ესპანეთში კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში პირდაპირ ასტრონომიული თანხის გადახდაა საჭირო. რამდენი უნდა გადაიხადოს კლუბმა „რეალიდან“ თქვენი წასვლის შემთხვევაში?***

— 30 მილიარდი პესეტი (დაახლოებით, 175 მილიონი დოლარი — რედ.).

● ***ძალიან ბევრია. მაგრამ თქვენ ვინ გაგყიდით: ბევრი „რეალ მადრიდს“ ახლა „რაულ მადრიდს“ ეძახის. არის თუ არა თქვენთვის დამატებითი სტიმული, რომ თქვენი სახელი იდენტიფიცირებულია „სამეფო კლუბის“ სახელთან?***

— სიმართლე გითხრათ, ამაზე, საერთოდ არ მიფიქრია. ჩემთვის მთავარია ვითამაშო ფეხბურთი და თამაშისაგან სიამოვნება განვიცადო. რა თქმა უნდა, ფეხბურთს უნდა შევწირო მრავალი სხვა სიამოვნება, რომელიც ცხოვრებაში არსებობს. დრო კი გვიჩვენეს, როგორი ასოებით ჩაიწერება ფეხბურთის ისტორიაში რაულის სახელი.

● ***ახლა „რეალის“ საქმეები კარგად წარიმართა როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში. რაშია თქვენი წარმატებების საიდუმლოება?***

— ახლა ჩვენ მოვაწესრიგეთ დაცვის საქმეები.

● ***ასე უბრალოდ ახსნით?***

— დიახ, ასე უბრალოდ. დაცვას ეხმარებიან როგორც ნახევარმცველები, ისე თავდამსხმელებიც. მას შემდეგ, რაც ზურგი გავიმაგრეთ, ჩვენს წამყვან მოთამაშეებს თავიანთი საუკეთესო თვისებების დემონსტრირების საშუალება მიეცათ. ამიტომაც არის, რომ ზედიზედ ვიგებთ.

● ***თქვენი სიტყვები მხოლოდ ფიგუს ხომ არ ეკუთვნის?***

— გასაგებია, როცა თამაში ძირითადად მეტოქის ნახევარზეა, ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, თავდამსხმელები იპყრობენ. მაგრამ ჩვენი მცველები რომ ასე ძლიერად არ თამაშობდნენ, ჩვენ ჩემპიონატის ლიდერები არ ვიქნებოდით.

● ***ხომ არ მიგაჩნიათ, რომ „რეალის“ ახლანდელი შემადგენლობა უძლიერესია ალფრედო დი სტეფანოს დროიდან?***

— „რეალის“ ისტორია ისე მდიდარია, რომ შეიძლება ბევრი დიდი გუნდის დასახელება. მოთამაშეების თითოეულმა თაობამ კლუბი ასახელა, ბევრი გამარჯვება იზეიმა. ჩვენ უკვე მოვასწარით ჩემპიონთა თასის ორჯერ მოპოვება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს წინამორბედებზე უარესი არა ვართ.

მოამზადა
**ბივი თორელმა**

---

### სამხრეთამერიკელ მწვრთნელებს დაერივნენ

**მას შემდეგ, რაც მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფის შეჯიბრება დაიწყო, პირდაპირ დაერივნენ მთავარ მწვრთნელებს. თანამდებობა დაატოვებინეს ფრანსისკო მატურანას (პერუ), ომარ პასტორისას (ვენესუელა), ვანდერლეი ლუქსემბურგოს (ბრაზილია), სერხიო მარქარიანს (პარაგვაი) და დანიელ პასარელას (ურუგვაი). ახლა მათ ნელსონ აკოსტაც (ჩილე) მიაყოლეს სუსტი შედეგების გამო (მერვე ადგილი ათიდან). მას „კოლო-კოლოს“ ყოფილი მწვრთნელი პედრო გარსია ცვლის.**

### „ურალანს“ ფული არ აკლია

ელისტის „ურალანს“, რომლის პრეზიდენტია... ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი, ცხადია, ფული არ აკლია. სამგზის პრეზიდენტმა უხვად დააფინანსა კლუბი, ბოლოს კი განაცხადა, რომ მისთვის დამატებით კიდევ ერთი მილიონი დოლარი გამონახა და მიზნად უსახავს აუცილებლად რუსეთის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას. „ურალანში“ ორი ქართველიც თამაშობს: ცნობილი მეკარე იური ოყროშიძე და თავდამსხმელი ზურაბ წიკლაური.

### როცა არაფერი გამოდის

**როგორც ინგლისელმა თავდამსხმელმა სტენ კოლიმორმა განაცხადა, მან გადაწყვიტა დაასრულოს თავისი საფეხბურთო კარიერა. ამის მიზეზად იგი ოჯახურ ამბებს კი ასახელებს (ცოლის მშობიარობას ელის), მაგრამ...**

**ამ ბოლო ხანებში კოლიმორი ესპანეთში თამაშობდა, მას შემდეგ, რაც ინგლისში კლუბი ვერ მონახა. ეს მაშინ, როცა 5 წლის წინათ „ნოტინგემ ფორესტიდან“ „ლივერპულში“ გადავიდა, მისი ტრანსფერი 12,5 მილიონი დოლარი დაჯდა. კოლიმორი მაშინ დიდად ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა ლა ნაკრებშიც გამოდიოდა. „ლივერპულში“ კოლიმორი ორი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა, შემდეგ ითამაშა „ასტონ ვილაში“, „ლესტერ სიტიში“, „ბრედფორდში“...**

### კურსი ჩინეთისაკენ

რუსეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი სერგეი კირიაკოვი, მას შემდეგ, რაც გერმანულ კლუბებში მარცხი იწვნია, ახლა ჩინეთში გადაბარგდა.

— მე ვთვლი, რომ ჩინური ფეხბურთის კლასი ამ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა და ამიტომაც იმედიანად დავიწყებ თამაშს ამ ქვეყანაში.

---

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რატომ ხმარობთ ასეთ გამოთქმებს?

ფრანგები საკმაოდ მხიარული ხალხია და მაშინაც კი, როცა რაღაც არ გამოუვათ, შეიძლება რაიმე იხუმრონ.

როცა გამოუვათ, მაშინ ხომ... როცა „ლიონმა“ საკუთარ მინდორზე „ბაიერნი“ გაანადგურა (3-0), მისმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ სამივე თავდამსხმელი გამოცვალა და თქვა: „იგი ისედაც კმაყოფილია „ბაიერნის“ ნანგრევების“ ცქერით“.

### „მე ფეხბურთელებისა არ მეშინია, გულშემატკივრებს კი ვუფრთხი“

**მას შემდეგ, რაც იუგოსლავია დაიშალა, თუ მისი ყოფილი რესპუბლიკების ნაკრებები სადმე ერთმანეთს შეხვდნენ, აუცილებლად აყალმაყალი უნდა დაიწყოს. ამიტომაც იყო, რომ სლოვენიის ნაკრების კაპიტანმა ალეს ჩეხმა სპეციალური მიმართვაც კი გაუგზავნა თავისი გუნდის გულშემატკივრებს, არაფერი ეკადრათ იუგოსლავიელებთან მატჩში. ეს შეხვედრა მეტად მწვავედ მიმდინარეობდა, (ფრე კი დასრულდა — 1-1), მაგრამ ექსცესების გარეშე ჩაიარა.**

### „ალავესი“ ბრწყინვალე გუნდია

ასე უწოდებს ახლა მთელი ევროპული საფეხბურთო პრესა ესპანურ (ბასკურ) ქალაქ ვიტორიის კლუბ „ალავესს“. არა, ბასკებს ფეხბურთში ყოველთვის დიდი სახელი ჰქონდათ, მაგრამ განა ვინმე მონახავდა საფეხბურთო რუკაზე ქ. ვიტორიას, განა ბევრი იცნობდა „ალავესს“.

„ალავესს“ ვარსკვლავები არ აკლია: თუნდაც გამთამაშებელი სორდი კრუიფი და ესპანეთის ჩემპიონატის №1 სნაიპერი სავი მორენო. რაც შეეხება რუმინელ კონტრას, მას ჩვენც კარგად ვიცნობთ...




# კასპაროვი – კრამნიკი: დუელი სწრაფ ჭადრაკში




მსოფლიოს ორი უდიდესი მოჭადრაკე გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი უახლოეს თვენახევარში ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

ჯერ ეს მოხდება ამ თვის ბოლოს ციურიხში ვიქტორ კორჩნოის სახელობის ტურნირზე სწრაფ ჭადრაკში. დასახელებული მოჭადრაკეების გარდა ასპარეზობაში ჩაებმებიან ბორის სპასკი (საფრანგეთი), ვოლფგანგ უნციკერი (გერმანია), პეტრე სვიდლერი (რუსეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) და სხვ.

ორივე ჩემპიონმა აგრეთვე თანხმობა განაცხადა ითამაშონ დამოუკიდებელი ყაზახეთის 10-წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში (19 მაისი — 1 ივნისი), რომელშიც იასპარეზებენ ესპანელი შიროვი, ებრაელი გელფანდი, ბულგარელი ტოპალოვი, 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის დასმენ სადვაკასოვი.

## 25 ნოემბრიდან, კვლავ 3 მილიონი

როგორც ფიდეს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონატი ვაჟთა შორის კვლავ ადრინდელი ნოკაუტ-სისტემით გაიმართება და 25 ნოემბერს დაიწყება. უარყოფილია რამდენიმე პროექტი მსოფლიო ჩემპიონატის სისტემის რეფორმირების შესახებ.

ჩემპიონატში 125 დიდოსტატი და ოსტატი მიიღებს მონაწილეობას. აქ სრული სიახლე გახლავთ ის, რომ 8 მათგანს ინტერნეტით მოწყობილი შეჯიბრებები დაასახელებენ. პოზიტიური სიახლეა ისიც, რომ, როცა ჩემპიონობის ორი პრეტენდენტილა დარჩება, გამოცხადდება ორკვირიანი შესვენება, რათა ფინალური მატჩის წინ დიდოსტატებმა ძალები აღიდგინონ. ამ ფინალურ მატჩში კი პარტიების რიცხვი რვამდე გაიზრდება, რაც, რა თქმა უნდა, ასევე მოსაწონია.

ისევე, როგორც შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია.

დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ფიდეს პროექტმა პარტიების მოსაფიქრებელი დროის მკვეთრად შემცირების შესახებ. აქ გათვალისწინებული იყო პირველ 40 სვლაზე სულ 75 წუთი, შემდეგ კი საერთოდ 15 წუთი პარტიის ბოლომდე. ეს პროექტი, დიდოსტატების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ჭადრაკს კარგს არაფერს მოუტანს. ამიტომ გაგრძელდება კონსულტაციები ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციებთან მისაღები ვარიანტის მოსაძებნად.

## „რეიტინგ-ლისტი“ სწრაფ ჭადრაკში

ჩვენ სისტემატურად, წელიწადში ორჯერ ვაქვეყნებთ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტს“, როგორც ქალთა და ვაჟთა, ისე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

1 იანვრიდან შემოღებულია ახალი „რეიტინგ-ლისტი“, ამჯერად სწრაფ ჭადრაკში (როცა მოჭადრაკეს მთელი პარტიისათვის 25 ან 30 წუთი ეძლევა).

აი პირველი ასეთი „რეიტინგ-ლისტი“.

1. მაიკლ ადამსი (ინგლისი) – 287 ქულა. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) – 283. 3. გარი კასპაროვი (რუსეთი) – 282 (ამ სიის გამოქვეყნების შემდეგ კასპაროვმა მოიგო შეჯიბრება მსოფლიო თასზე, რაც შემდგომ „რეიტინგ-ლისტში“ აისახება და კასპაროვი დიდი უპირატესობით გადავა პირველ ადგილზე) 4. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) – 277. 5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) – 275. 6. პეტრე სვიდლერი (რუსეთი) – 273. 7. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) – 273. 8. ბორის გელფანდი (ისრაელი) – 272. 9. ევგენი ბარეევი (რუსეთი) – 272. 10. გატა კამსკი (აშშ) – 270. 11. ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცეგოვინა) – 270. 12. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) – 269. 13. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) – 269. 14. ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) – 268. 15. ალექსეი დრეევი (რუსეთი) – 268. 16. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) – 268. 17. რუსტემ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) – 268. 18. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) – 267. 19. იაან ელვესტი (ესტონეთი) – 267. 20. სერგეი შიპოვი (რუსეთი) – 267. 21. სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) – 267 და ა.შ.

# სპორტული პლანეტა

## ნბა



## პლეი-ოფის ბოლო საგზური „ინდიანას“ ერგო

გუშინ, ინდიანასა და ბოსტონში უნდა გარკვეულიყო პლეი-ოფის ბოლო საგზურის ბედი: „ინდიანამ“ „ნიუ-იორკი“ დაამარცხა ანგარიშით 100:93, ხოლო „ბოსტონმა“ შინ ვერაფერი გააწყო „მაიამისთან“ 97:102.

სხვა მატჩები ასე დასრულდა ვაშინგტონი — ჩიკაგო 109:113, ატლანტა — კლივლენდი 107:102, დეტროიტი — ტორონტო 99:87, ფინიქსი — დალასი 111:106, სიეტლი — გოლდენ სტეიტი 107:101.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| **ფილადელფია** | **78** | **54** | **24** | **69,2** |
| **მილუოკი** | **78** | **49** | **29** | **62,8** |
| **მაიამი** | **78** | **48** | **30** | **61,5** |
| **ნიუ-იორკი** | **78** | **46** | **32** | **59,0** |
| **ტორონტო** | **78** | **44** | **34** | **56,4** |
| **შარლოტი** | **78** | **42** | **36** | **53,8** |
| **ორლანდო** | **77** | **41** | **36** | **53,2** |
| **ინდიანა** | **78** | **38** | **40** | **48,7** |
| ბოსტონი | 79 | 35 | 44 | 44,3 |
| დეტროიტი | 78 | 31 | 47 | 39,7 |
| კლივლენდი | 78 | 27 | 51 | 34,6 |
| ნიუ-ჯერსი | 78 | 26 | 52 | 33,3 |
| ატლანტა | 78 | 24 | 54 | 30,8 |
| ვაშინგტონი | 78 | 18 | 60 | 23,1 |
| ჩიკაგო | 78 | 13 | 65 | 16,7 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| **სან-ანტონიო** | **78** | **56** | **22** | **71,8** |
| **საკრამენტო** | **77** | **53** | **24** | **68,8** |
| **ლეიკერსი** | **79** | **53** | **26** | **67,1** |
| **იუტა** | **77** | **51** | **26** | **66,2** |
| **დალასი** | **78** | **49** | **29** | **62,8** |
| **პორტლენდი** | **78** | **49** | **29** | **62,8** |
| **ფინიქსი** | **78** | **48** | **30** | **61,5** |
| **მინესოტა** | **77** | **46** | **31** | **59,7** |
| სიეტლი | 79 | 43 | 36 | 54,4 |
| ჰიუსტონი | 79 | 42 | 37 | 53,2 |
| დენვერი | 78 | 38 | 40 | 48,7 |
| კლიპერსი | 78 | 28 | 50 | 35,9 |
| ვანკუვერი | 78 | 22 | 56 | 28,2 |
| გოლდენ-სტეიტი | 78 | 17 | 61 | 21,8 |



## ენენ-ლე-ბანში...

**საფრანგეთის ქალაქ ენენ-ლე-ბანში გუშინ დაიწყო მეჩვიდმეტე კატეგორიის ვაჟთა ტურნირი. მოგებებით დაიწყეს ასპარეზობა რუსეთელმა ევგენი ბარეევმა და ჰოლანდიელმა ლიუკ ვან ველიმ, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს ფრანგი ლორან ფრესინე და მოლდაველი ვიქტორ ბოლოგანი.**

## ყველაფერი რაფტერთან მარცხით დაიწყო

„ეს მოხდა ჩემი საჩოგბურთო კარიერის ბოლო დღეს — უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე პატრიკ რაფტერთან დამარცხების შემდეგ საშინელ ხასიათზე ვიყავი, ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი და ყველას, ვინც კი მომეკარა, ვეჩხუბებოდი. ბოლოს ცოლიც შემომელანძღა (იგი მაშინ ფეხმძიმედ იყო), რომელმაც დემონსტრაციულად დამტოვა... ბოღმა რომ ჩამეხრჩო, იქვე რესტორნის შიდა ოთახში სექსუალური კავშირი ვიქონიე პირველივე შემხვედრ ქალთან“ — ასე აღწერს სახელგანთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი თავის ერთადერთ შეხვედრას რუს ტოპ-მოდელთან ანჟელა ერმაკოვასთან ახლახან გერმანიაში გამოსულ წიგნში „მე და ანჟელა“.

„ასეთი უეცარი კავშირი უცხო ქალთან ერთადერთი იყო ჩემს ცხოვრებაში, შედეგი კი გამოუსწორებელი — ოჯახი დამენგრა. თუმცა, ჩემი გაყრა ცოლთან სულაც არ მომხდარა არაკანონიერი შვილის გაჩენის გამო, უბრალოდ, ერთმანეთს ხასიათებით ვერ შევეწყეთ“ — წერს თავის მოგონებებში ჩოგბურთელი.

იტყობინებიან, რომ წიგნი გერმანიაში სწრაფად იყიდება და მას, ალბათ, სხვა ენებზეც გადათარგმნიან.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




*13 აპრილი, პარასკევი*

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის (12.00), იტალიის (14.00, 0.00 – პირდაპირი), ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ავტორბოლა. ფორმულა-3000 (19.15, 21.15), საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი (0.30), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ფეხბურთი (14.20), ინგლისის (15.25, 23.10), ჰოლანდიის (18.05), ევროპის ქვეყნების (20.00), იტალიის (1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**14 აპრილი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.45), ***РТР.*** ავტორბოლა. ფორმულა-1, სან-მარინოს გრან-პრი (3.30), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (07.00, 12.30, 13.00), ფეხბურთი: ინგლისის (16.00, 19.00, 21.00, 03.30), იტალიის (06.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** კალათბურთი. ევროლიგა (13.00), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (1.00). ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (14.40), რუსეთის (15.55), იტალიის (17.55), გერმანიის (20.05), იტალიის ან ესპანეთის (23.25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**15 აპრილი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.10), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის (19.00), ინგლისის (01.30) ჩემპიონატი და მიმოხილვა. ***EUROPSPORT.*** ველოსპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (16.30, 18.00, 2.45). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (15.00), იტალიის (16.40), რუსეთის (18.20), საფრანგეთის (19.15, 1.05), ესპანეთის (19.55, 22.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**გაზეთ „ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 20 აპრილს.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმერ ხოფერიას მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზაღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმერ ხოფერიას მამის გარდაცვალების გამო.**

**„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ვლადიმერ ხოფერიას მამის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი №29



**თარაზულად:** 1. საჭადრაკო ფიგურა, 5. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი ენცო..., 8. ქართული ხალხური თამაში, 10. ვლადიმერ ბარქაიას მეტსახელი, 11. ტერმინი ნარდში, 12. წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 14. ქართული ხალხური თამაში ცხენებით, 16. ინდოელი დიდოსტატი. 18. ქუთაისის სარაგბო გუნდი, 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 22. ფორმულა 1-ის ფინელი პილოტი, 23. კურორტი თურქეთში, 25. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი. 26. გორის საფეხბურთო კლუბი, 27. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი, 28. შეფასება ძიუდოში, 29. თბილისის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. წარსულში ცნობილი ბასკი ფეხბურთელი, 2. ვოროშილოვგრადის საფეხბურთო კლუბი, 3. ახლო წარსულში ქართველი სპორტული კომენტატორის სახელი, 4. მადრიდელი ფეხბურთელი, 5. ყოფილი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 6. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 7. რუსი მეკარე, 9. სართიჭალის საფეხბურთო გუნდი, 13. ინგლისის კლუბი, 15. ფრანგი ფეხბურთელი, მცველი, 17. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი ვაჟი, 18. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 19. ესპანეთის კლუბი, 21. ახლო წარსულში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე არმიელ ფეხბურთელთა გუნდი, 24. ძალოსნობის სახეობა.

### №28 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. „კალევი“, 6. „მერანი“, 9. „რაფტერი“, 11. კორნერი, 12. აფრიკა, 14. ძენგა, 16. „ოსერი“, 19. კონტე, 21. ოპრია, 22. ალი, 23. შტოლცერსი, 24. რაი, 27. „ჩელსი“, 28. ბურთი, 29. რაიო, 30. ფილია. **შვეულად:** 1. დვირი, 2. სპიტცი, 3, შელია, 5. ასანიძე, 7. ნელინიო, 8. ბოლონი, 10. კატერი, 13. სკილაჩი, 15. გონტარი, 17. სენსინი, 18. მალანია, 20. „ლაციო“, 25. ელო, 26. ურო, 28. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. მf6! 1. ...მფ:f6 2. კc3X.
1. ...მფh8 2. g7X. 1. ...მფh6 2. კf8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 6435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №4 (12) აპრილი, 2001 წელი




# პირველად, ევროპის ჩემპიონატი საქართველოში



## კიდევ ერთი გზა ევროპისაკენ-კარატეს გზით

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კარატე, დრო და დრო, საგრძნობი და ნორმალური ტემპით ვითარდება, ამას მოწმობს იაპონელი, კარატეს დიდოსტატის, მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს შეფ-ინსტრუქტორის, მსოფლიოს შვიდ გზის ჩემპიონის, მერვე დანის მფლობელის ჰიტოში კასუიას ხანგრძლივი სტუმრობა თბილისში. ოსტატ კასუიას ვიზიტი, ამჯერად უფრო მრავალმხრივი იყო: ჩაატარა საერთაშორისო სემინარები, ატესტაციები სხვადასხვა რანგში და ხარისხებზე, საპატიო სტუმრად დაესწრო კლუბ „მაქაბის" მიერ ჩატარებულ რიგით მესამე პირველობას და ბოლოს 4 აპრილს საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციასთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენცია საკმაოდ ხალხმრავალი, და ამავე დროს ერთობ სოლიდური სტუმრების მასპინძელიც იყო, დავით ციმაკურიძე, გურამ სალარაძე და სხვა დიდი სპორტსმენები, რომლებიც ამ ფედერაციის ერთგული მეგობრები და შეიძლება ითქვას, რომ თანამოსაქმენიც არიან, ჯანსაღი მომავლის აღზრდის დიდ საქმეში.

პრესკონფერენციის მთავარი თემა, საქართველოში 2001 წლის 6-8 ოქტომბერს დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატის ჩატარება იყო. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან პირველი საქართველო დასახელდა, სადაც ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება კარატეში, შოტოკანში, რადგან აქ კარატეს განვითარება ზენიტისაკენ მიიწევს ყოველმხრივ, ყველაფრის მიუხედავად - განაცხადა დიდოსტატმა ჰიტოში კასუიამ. ოსტატმა ისიც გაგვიმხილა, რომ წელიწადში სულ ცოტა ორჯერ ჩამოდის თბილისში და ყოველ ჩამოსვლაზე კარატეს დონის ამაღლებას, განვითარებას ამჩნევს, გარდა იმისა გაოცებულია, ქართველი ხალხით და განსაკუთრებით კი სპორტსმენებით, რომლებიც ცარიელ ენთუზიაზმზე მუშაობენ და არც თუ ისე ურიგოდ.



ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციისთვის დამახასიათებელი წესებით, რომელიც მათ შორის, ითვალისწინებს როგორც უფროს ასაკში (18 წლის ზევით) და მოზარდებში, ასევე ბავშვთა შორის შეჯიბრს, კუმიტეშიც და კარატეშიც.

ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა კახა ბასილიამ მადლიერების გრძნობა გამოხატა საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რომელსაც მთელი ფედერაციის სახელით წერილი მისწერა, რათა თანადგომა ეთხოვა მომავალი ევროპის ჩემპიონატში მხარდაჭერისთვის. პასუხად კი, მისთვის დამახასიათებელი ყურადღება გამოიჩინა ბატონმა ედუარდმა ქართველი კარატისტების, (და არა მარტო მათთვის) მიმართ. წერილს რეზოლუცია დაადო, მკაცრ კონტროლზე აყვანა მოითხოვა, რათა ხელი შეეწყოს და უნაკლოდ ამ დიდმა ძალზედ მნიშვნელოვანმა სპორტულმა მოვლენამ. აქვე მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს გიორგი ბარამიძეს და ფედერაციის სხვა ერთგულ მეგობრებს, რომლებიც მათთან ერთად იღწვიან გამუდმებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორები არიან: საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ქალაქ თბილისი მერია და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ჩემპიონატს უამრავი სპონსორი ეყოლება, რომლებმაც თვითონ გამოთქვეს სურვილი, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ მათი დასახელება არ მოისურვა, ჯერჯერობით.





ჩემპიონატზე მოწვეული იქნება 40-მდე ქვეყანა, სადაც 1200-1500 მაღალი რანგის კაპიტალისტი მოიყრის თავს. სპორტსმენები თვითდაფინანსებით ჩამოვიდნენ. კითხვაზე, თუ სად ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი, თბილისი სპორტის სასახლე დაასახელეს კახა ბასილიამ და მისმა გენერალურმა მდივანმა, თემურ რამიშვილმა. „ეს იქნება დაუვიწყარი, გრანდიოზული დღეები საქართველოს სპორტის ისტორიაში, მთელი ქალაქი და მთლიანად საქართველო ევროპის ჩემპიონატს ატმოსფეროთი იქნება მოცული - განაცხადა კახა ბასილიამ.

ვფიქრობ, ეს მართლაც დიდი მოვლენაა, როგორც ქართველი კარატისტებისა და მათი თაყვანისმცემლებისთვის, ასევე მთლიანად საქართველოსთვი. - „საქართველო ხომ ევროპის ნაწილია, ევროპაა, და ეს ჩემპიონატიც კიდევ ერთი დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპისაკენ, რომელიც ზუსტად ეხმაურება საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ორიენტაციას ევროპისაკენ - განაცხადა კახა ბასილიამ.

მაშ ასე, სინათლე მოსჩანს ქართული სპორტის, კერძოდ კარატეს სფეროში. ვფიქრობ, მთელი საქართველო ელის ამ უდიდეს სპორტულ მოვლენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო სემინარები და ტრადიციად ქცეული „მაქაბის " ღია ტურნირი



წლევანდელი წელი საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში, მითუმეტეს უფრო საინტერესო მომავალი აქვს. 30 მარტს კიდევ ერთხელ ესტუმრა კარატეს ლეგენდარული ოსტატი - ჰიტოში კასუია. ისტორიას სტუმრობის მიზეზი სემინარების და საატესტაციო გამოცდილების ჩატარება იყო, რამაც ბრწყინვალედ ჩაიარა.

შეიძლება ითქვას, რომ ჰიტოში კასუიას ყოველი ჩამოსვლა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ყოველი წევრისთვის ზეიმია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ მისი წევრები.

პირველ აპრილს, პირველი სემინარის შემდეგ, გაიმართა კლუბ „მაქაბის" რიგით მესამე ღია ტურნირი, რომლის ორგანიზატორები თვითონ კლუბის ხელმძღვანელი, მესამე დანის მფლობელი ზურაბ ქოსაშვილი და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია იყო. ტურნირი ყველანაირად საინტერესო და სპორტული სანახაობით მაღალ დონეზე ჩატარდა, რასაც კიდევ უფრო ალამაზებდა კარატეში უდიდესი (და არა მარტო კარატეში) პიროვნების დასწრება და მის მიერ დადებითი და საკმაოდ მაღალი შეფასების მიცემა. ტურნირის გამარჯვებულები კლუბ „მაქაბის" პრეზიდენტის, ზურაბ ქოსაშვილის მიერ დაწესებული თასით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. ტრადიციას, მეგობრობას და ერთიანი დიდი საქმის კეთებას, არც ახლა უღალატა საქართველოს მოქალაქეთა კავირმა და თავისი სახელობის თასის გათამაშება.

და ბოლოს, არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს: ქართველი და ებრაელი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობა გრძელდება, თანაც საფუძვლიანად, რომლის კიდევ ერთ-ერთი დასტურია ეს, არც თუ ისე პატარა ტურნირი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ორი, უძველესი ქართველი და ებრაელი ერის მეგობრობას კიდევ ერთი, უდიდესი ტრადიციების და კულტურის, ასევე უძველესი ერი - იაპონია უერთდება, (თუმცა იაპონელებთან მეგობრობის და-



საწყისი უფრო ადრეული წლებიდან იწყება ჩვენთვის). „მაქაბის" ღია ტურნირი ტრადიციად იქცა, რომელიც ასევე გაგრძელდება. საკმაოდ მოკლე ხანში წარმატებულმა კლუბმა „მაქაბმა" სპორტის სასახლეში ატარებს ვარჯიშებს, რომელმაც უკვე საკმაო ყურადღება მიიპყრო საზოგადოებაში, თუმცა ამის შესახებ უფრო ვრცლად სხვა დროს.

# კლუბი „მაქაბის" მესამე ღია პირველობა

| ინდივიდუალური კუმიტე (ვაჟები) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | 8-9 წლები | ორგანი-ზაცია | 10-11 წლები | ორგანი-ზაცია | 12-13 წლები | ორგანი-ზაცია | 14-15 წლები | ორგანი-ზაცია |
| 1 | ბიკაშვილი შავლეგი | თბილისი | ქოიავა გური | თბილისი | გორელაშვილი ლევანი | თბილისი | შიოშვილი შალვა | თბილისი |
| 2 | ბუმბიაშვილი ავთო | თბილისი | ფუხაევი მიხეილი | თბილისი | თყებუჩავა დავითი | თბილისი | ტყიბუჩავა ირაკლი | თბილისი |
| 3 | ჩქარეული რეზო | გორი | შენგელია იუზა | ქუთაისი | თევდორაძე ირაკლი | ქუთაისი | დევაძე ზვიადი | ბათუმი |
| 3 | ბაბალაშვილი ბექა | თბილისი | ყაველაშვილი ელგუჯა | თბილისი | კანდელაკი დავითი | თბილისი | ხმალაძე ბექა | თბილისი |

| ინდივიდუალური კუმიტე (ვაჟები) | | | | |
|---|---|---|---|---|
| № | 16-17 წლები | ორგანიზაცია | 18-დან-ზევით 21 წლამდე | ორგანიზაცია |
| 1 | აბრამიშვილი დავითი | თბილისი | ადამიანი გარსევანი | გორი |
| 2 | არსენიანი დათო | თბილისი | ბინალიევი მურადი | ბათუმი |
| 3 | მაღლაკელიძე მალხაზი | | ჟვანია დავითი | თბილისი |
| 3 | კვირიკაშვილი ვაჟა | თბილისი | | |

| ინდივიდუალური კუმიტე (გოგონები) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | 8-10 წლები | ორგანი-ზაცია | 11-13 წლები | ორგანი-ზაცია | 14-16 წლები | ორგანი-ზაცია | 17-19 წლები | ორგანი-ზაცია |
| 1 | თურქია ნათია | გურია | ჯოჯუა ნინო | თბილისი | მეგრელიშვილი სოფო | თბილისი | ლონდრიშვილი ნინო | თბილისი |
| 2 | ბერიანიძე ეთერი | თბილისი | ხორავა მეგი | თბილისი | შიოშვილი თამუნა | თბილისი | ბითაძე მაკა | თბილისი |
| 3 | ცუცქირიძე ირინა | ბათუმი | | | ტულუში თამარი | თბილისი | | |

# იონა ხუციშვილი - 27.19.1989.



1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი - I ადგილი. 03.10.1997 წ.
2. საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დოში - I ადგილი. 23.11.1997 წ.
3. საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დო-ში - III ადგილი. 04.04.1998 წ.
4. საქართველოს ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში - III ადგილი. 26.04.1998 წ.
5. საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დოში - II ადგილი. 21.11.1998 წ.
6. საერთაშორისო ჩემპიონატი კარატე დოში (ართვისნი თავის", თურქეთი) - I ადგილი . 07.03.1999 წ.
7. ქ. თბილისის ღია პირველობა კარატე-დოში - I ადგილი. 25.04.1999 წ.
8. საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში - II ადგილი. 25.06.2000 წ.
9. საქართველოს ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში - II ადგილი. 28.12.2000 წ.



# 2000 წლის საუკეთესო რეგიონული ფედერაცია და საუკეთესო ხელმძღვანელი

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას ერთ-ერთი საუკეთესო რეგიონული ფედერაცია აქვს იმერეთში, რომელსაც 22 წლიანი პრაქტიკითა და გამოცდილებით ვაჟა უნგიაძე უდგას სათავეში. ეს რეგიონული ფედერაცია 1999 წელს დაარსდა და მოკლე ხნის განმავლობაში უამრავი საქმე გააკეთა, ბევრი წარმატებული სპორტსმენი გაზარდა. იშვიათია კარატეს ორგანიზაცია, რომელსაც საკუთარი ოფისი და დარბაზი აქვს, თანაც - საუკეთესო და თვალის მომჭრელი. ყველაფერი ეს კი დაუღალავი შრომის ნაყოფია. დარბაზის კეთილმოწყობაში დიდი წვლილი მიუძღვით ქალაქ ქუთაისი ხელმძღვანელობასა და თავად კახა ბასილიას.

იმერეთის რეგიონისთვის ყოველი შეჯიბრი დღესასწაულია, სადაც ყოველთვის სათანადოდ მომზადებული სპორტსმენები ჰყავთ, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ აგრეთვე საქალაქო, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ჩემპიონატში და საკმაოდ ხშირად წარმატებებსაც აღწევენ.

იმერეთის კარატეს ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სასომხეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. ასეთი შეჯიბრი დაგეგმილი იყო წელსაც, ოქტომბერში, მაგრამ ევროპის ჩემპიონატმა გეგმები შეცვალა, რომელიც, როგორც ვიცით ოქტომბრის თვეში გაიმართება. კარატეს რეგიონულ ფედერაციას კალენდარში ასევე შეტანილი აქვს, ქალაქის ჩემპიონატი და საქართველოს პირველობა.

და ბოლოს: 2000 წელს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით იმერეთის რეგიონული ფედერაცია ერთ-ერთ საუკეთესო ფედერაციად აღიარეს, ხოლო ვაჟა უნგიაძე კი - საუკეთესო ხელმძღვანელად.

სასიხარულოა ის, რომ ამ სპორტული კოლექტივის მუშაობამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში. შევეცდებით შემდეგ უფრო დაწვრილებით გიამბოთ მის შესახებ.

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

## სტუდენტური სპორტი

ყურადღება!

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.

მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" - გაახალგაზრდავდით!

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ